

საბავშვო ჟურნალი



საქართველოს ახალ. ლენინური კომკავშირის ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებით, ოქტომბრის 13-17-მდე ტარდება კომკავშირის და პიონერთა პრესის სამდლიური, რომლის მიზანია რაც შეიძლება ფართოდ გააშუქოს ახალგაზრდა მოსახლეობაში კომკავშირული და პიონერული პრესის მნიშვნელობა და ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის გავრცელებას საქმე სათანადო სიმაღლეზე დააყენოს.

იმ დროს, როდესაც კომკავშირის და პიონერ-ორგანიზაციის მუშაობა გადასულია ახალ ფორმებზე, ყოველდღიური მუშაობა ჩვენს წინაშე სრულიად ახალ საკითხებს აყენებს, რომელთა გაშუქება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის პრესას შეუძლია; ის გაგვიწევს დიდ დახმარებას პოლიტიკურ—ორგანიზაციულ მუშაობაში. მაგრამ, სამწუხაროდ, თვითუფლებს ჩვენთაგანს კიდევ არ აქვს შეგნებული პრესის ასეთი დიდი მნიშვნელობა და წესიერ ყურადღებას ვერ ვაქცევთ დღემდე ამ საკითხს.

დღეს, როდესაც ჩვენს წინაშე წამოჭრილია საკითხი სამდლიურის ჩატარებისა და ლოზუნგი: „ჩვენი გამომცემლობის არსებული ქსელის მთლად შენარჩუნება, მისი თანდათანობით გაფართოება და გაძლიერება“, ჩვენ გვგონია, რომ წამოყენებული ლოზუნგი ჩვენი ორგანიზაციისათვის (კომკავშირისათვის, პიონერ-ორგანიზაციისათვის) არ არის ძნელი, თუ თვითუფლები კომკავშირელი და პიონერი დაინტერესდება თავისი პრესის არსებობის საკითხით და მიიზიდავს ამ მუშაობაში მის გარშემო დარაზმულ ახალგაზრდობას, თუ ის შეუდგება წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას და უჯრედებიც და კოლექტივებიც მთელ ყურადღებას მიაპყრობენ ამ საქმეს.

კომკავშირული და პიონერული პრესის 3-დღიურმა საძირკველი უნდა ჩაუყაროს ინტერესების

აღძვრას, უნდა ჩატარდეს ფართე ხელის მოწერა ჩვენს პერიოდულ გამომცემლობებზე; ჟურ. „ახალგაზრდა ბოლშევიკზე“, ჟურ. „პიონერზე“ და „ნაკადულზე“ და სხვებზე მუშურ-გლეხურ და მოსწავლე ახალგაზრდობის მასაში; პიონერებში უნდა გავრცელდეს პიონერული საბავშვო ლიტერატურა, ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს ახკორთა და პიკორთა მოძრაობის გაფართოებასა და გაძლიერებას. ამ დიდი საქმის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე კომკავშირის და პიონერთა აქტივი, შეგნებულად შეხვდება ცეკას დადგენილებას და აქტიურად ჩაებმება ამ მუშაობაში.

ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ და შეგნებულად დავრახმოთ ჩვენი პრესის გარშემო რამდენიმე ათასეული ახალგაზრდა ბავში, რომლებიც შემდეგ შეიქნებიან მუდმივი მკითხველნი ჩვენი ჟურნალ-გაზეთისა. ყველას უნდა გვახსოვდეს ლენინის სიტყვები: „გაზეთი არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კულტურული აგიტატორი, ის ამავე დროს კოლექტიური ორგანიზატორიც არის“. ეს სიტყვები ნათელი უნდა იყოს ყოველი ჩვენთაგანისათვის.

რაც შეეხება პიონერული ლიტერატურისა და გამომცემლობის გავრცელებას, არც ესაა სათანადო სიმაღლეზე. ამიტომ საჭიროა გავრცელების საქმის გარკვეულად მოგვარება, ეს კი თქვენზეა დამოკიდებული, ამხანაგო პიონერებო და ბავშებო! თქვენ ხელთაა თქვენი ბეჭდვითი სიტყვის (ჟურ. „პიონერი“, „ნაკადული“ და საბავშვო ლიტერატურა, რომელსაც სცემს განათლების სახალხო კომისარატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის სამხატვრო—სალიტერატურო სექცია) გავრცელების შესაძლებლობა. ამიტომ ვაყენებთ დღის ლოზუნგად: „თითო ჟურნალი თითო რგოლს“.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ოქტომბრის გმირი—კარუშოს	2	8. წითელ ფლოტზე შეფობის 5 წლის თავი ი. კ—ესი	19
2. ოქტომბრის ძახილი—ლექსი—კ. ლორთქიფანიძის	6	9. პიონერ-ორგანიზაციის შემოშუბება დაიწყო	20
3. ბრძოლისათვის მზად ვართ—ლექსი—ი. ასათიანის	6	10. მოსავლის დღე	22
4. ჩვენც ხომ ვიბრძოდით—გ. ზარიძის	7	11. ხელი შევეწყობთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას	23
5. აფეთქება—ნ. სმირნოვის და ს. შჩერბაკოვის	10	11. თამაშობანი	} კანზე
6. ათი წელი—შანის	14	12. პრესის სამდლიური	
7. საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის 5 წლის თავი—ა. გუნიავასი	18		

329.153 (05)

3-47.



მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

კომუნეტი

1927

15 ოქტომბერი

განათლების სახალხო უმისართიანის სოციალური აღზრდის მთავარმართელთის და საქართველოს შ. კ. თ. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. უ. კომპარტიის ცენტრალური ბიუროსათვის)

წელიწადი II

№ 19



1917 წ. ოქტომბერში, სმოლნის დარბაზში (ლენინგარდში) საბჭოების მეორე ყრილობის ტრიბუნა-დან ლენინი მოუწოდებს მშრომელებს ხელისუფლების დასაპყრობად.

ოქტომბრის

ბერი

1. ძვირფასი წიგნი.

პატარა მოზოს დედა იტალიის ქალაქ ფლორენციაში ერთი მდიდრის ოჯახში ცხოვრობდა, სადაც ხელზე მოსამსახურის მოვალეობას ასრულებდა; თვით მოზო კი ერთ პატარა, მიყრუებულ სოფელში იყო თავის ბებიასთან ერთად, რადგან ბატონები მოზოს დედას უფლებას არ აძლევდნენ, რომ მისი პატარა ვაჟი თავისთან ჰყოლოდა.



წიგნის ერთ ნაწილში დახატული იყო უცნობი კაცი. სურათის ქვეშ წარწერა იყო: ვ. ლენინი.

მოზო ჯერ კიდევ 9-10 წლის ბიჭუნა იყო, მაგრამ ახოვანი, მკვირცხლი და ცოცხალი გამომეტყველების კუნთებმაგარი ბავში 15-16 წლის ჭაბუკს მოგაგონებდათ.

ლატაკი გლეხის შვილი აღრე დაობლდა. მამა აღარც ახსოვდა.

მთელი ზაფხულობით ეხმარებოდა მოხუც ბებიას.

მწყესავდა ღორებს, მოჰქონდა შეშა, უვლიდა პატარა ყანას და საღამოობით პატარა კოკით ხელში მახლობელ წყაროზე გარბოდა.

ზამთრობით უფრო ხშირად ბუხართან იყო მიმჯდარი და ბებუის საუბარს ისმენდა.

ბებიამ მოზოს წერა-კითხვაც ასწავლა, რასაც თვითონაც გაჭირვებით ახერხებდა.

მოზო მკვირცხლი და ნიჭიერი ბავში იყო და ყველაფერს ადვილად ითვისებდა.

ის წიგნის კითხვამ ხელად გაიტაცა, მაგრამ, საუბედუროდ, სულ ერთი წიგნი იშოვა, რომელსაც დასაწყისში და დასასრულში ფურცლები შემოხეული ჰქონდა და ისიც შემთხვევით იპოვა გზაზე დაგდებული და ამოსვრილი.

წიგნის შინაარსმა მოზო ისე დაინტერესა, რომ ის რამდენჯერმე გადიკითხა და შემდეგ ზოგიერთი ადგილების ჰებიასთან ზებირად მოყოლა დაიწყო.

წიგნში აწერილი იყო იტალიის მუშათა კლასის აუტანელი მდგომარეობა, მდიდრებისაგან მოწყობილი ფაშისტური ორგანიზაციების მიერ მუშების და გლეხების აწიოკება და თარეში, მუშების ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ. წიგნის ერთ ნაწილში დახატული იყო უცნობი კაცი ფართო, კეთილშობილური გახლჩილი ბაგით, დახრილი წარბით და მეტყველი თვალებით. სურათის ქვეშ წარწერა იყო: ვ. ლენინი.

სურათის ქვევით აწერილი იყო მეფის დროინდელი რუსეთის მშრომელი ხალხის მდგომარეობა, ოქტომბრის დიდი რევოლუცია და ლენინისა და რუსეთის პროლეტარიატის საგმირო ბრძოლა მზავრელთა წინააღმდეგ.

ეს წიგნის ნაფლეთი მოზოსთვის უახლოესი და უსაყვარლესი მეგობარი გახდა.

ძვირფასი წიგნი!..

2. ქალაქისაკენ

ზაფხული იწურებოდა, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს გახარებული მოზოს დედა ტერეზია ქალაქიდან დაბრუნდა და თავის ოჯახს სასიამოვნო ამბავი აცნობა: ის უკვე მოახლე აღარ იყო. ტერეზია ფლორენციის ერთ-ერთ დიდ საპნის ქარხანაში მიეღოთ მუშად სამსახურში.

ახლა იგი იმდენ ჯამაგირს იღებდა, რომ თავისი ოჯახის სამივე წევრის გამოკვება შეეძლო. მას ქალაქში საკუთარი ბინაც ეშოვა თავისი სამზარეულოთი.

ტერეზიას გადაწყვეტილი ჰქონდა დედა-შვილის ქალაქში წაყვანა და სამუდამოდ იქ გადასახლება.

მოზოს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა...

პირველად ბებია გაჟინიანდა ქალაქში გადასახლებაზე, მაგრამ ტერეზიამ დაარწმუნა, რომ ის უკვე მოხუცია და ყურისმკდებელი უნდა. მოზოსაც ხომ სოფლის მეღორედ ვერ დატოვებს: სკოლაში უნდა მისცეს; თან თითონაც დიდიდან სალამოდის ქარხანაში მუშაობს და შინ ვინმე უნდა ჰყავდეს ყურისმკდებელი.

ტერეზია ქალაქიდან ორი კვირას შევებულეებით იყო წამოსული. ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი გაყდა: ქოხი, ღორები, პატარა ადგილი. წვრილმანი ნივთები ტომრებში ჩაყარა, შეკრა თავისი ბარგი-ბარხანა, დაიქირავა ფურგუნი და შემოდგომის ერთ მშვენიერ დილას დედასთან და მოზოსთან ერთად ქალაქისკენ გაემართა...

ქალაქში მოზოსთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. ის ჩქარა შეეჩვია ქალაქის ხმაურობას.

ერთი კვირის შემდეგ დედამ სკოლაში წაიყვანა, სადაც ვიღაც მოხუცმა ქალმა წერა-კითხვაში და ანგარიშში გამოსცა და მესამე ჯგუფში მიიღო.

სკოლაში მოზოს ნიქსა და ბეჯითობას განცვიფრებაში მოჰყავდა მასწავლებელი. დედის სიხარულსაც საზღვარი არ ჰქონდა.

მოზომ ამხანაგებშიც სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

სასკოლო საგნებთან ერთად მოზო ქალაქის ცხოვრებასაც სწავლობდა. ის ხშირად დადიოდა მდიდრების უბანში, აკვირებოდა მათ სასახლეებს, ხედავდა იმათ ფარჩის ტანსაცმელს, ავტომობილებს, ქეიფს, გართობას.

მის უბანში კი მონური შრომა, სივაღალე და სილატაკე სუფევდა.

დედამ აუხსნა მას, რომ მდიდარი ხალხი ბედნიერად ცხოვრობს და ფუქსავატურად დროს ატა-



რებს იმიტომ, რომ დაქირავებულ მუშებს აძლევენ გაცილებით ნაკლებ სამუშაო ხელფასს, ვიდრე მათ ერგებათ.

— ყველგან ასეა, დედილო? — ცნობისმოყვარეობით იკითხა მოზომ.

— არა, — უპასუხა დედამ.

ტერეზიამ მოზოს მოკლედ გააცნო მუშების მდგომარეობა სხვადასხვა ქვეყნებში, შემდეგ ახსენა სხვადასხვა პარტიები და ბოლოს გააცნო საბჭოთა კავშირი, ოქტომბრის რევოლუცია, ლენინი და რუსეთის მუშების მდგომარეობა. ლენინის და ოქტომბრის ხსენებაზე მოზომ მოიგონა თავისი საყვარელი პირველი წიგნის შინაარსი და ყველაფერი ნათლად გაიგო...

3. პატარა გმირი


გავიდა ერთი წელიწადი...

ფაშისტური ორგანიზაციები იტალიის ყველა ადგილს მოედო.

ოქტომბრის რევოლუციით დაშინებულმა ბურჟუაზიამ უკანასკნელი ძალების მოკრება დაიწყო მუშათა კლასზე იერიშის მისატანად.

მაგრამ არც მშრომელებს ეძინათ. ისინი თანდათან უფრო მტკიცედ ირახმებოდნენ კომუნისტურ ორგანიზაციებში.

მოახლოვდა ოქტომბრის დღესასწაული...



ამხ. ი. სტალინი.

ფლორენციის ქარხნების მუშებმა გამოსვლისათვის იწყეს მზადება.

ფაშისტებმა გაიგეს მათი მიზანი და გააფრთხილეს მუშები, რომ ისინი ჩაშლიან ამ დღესასწაულს და არ მისცემენ მათ შეერთებულად გამოსვლის საშუალებას.

დანიშნულ დღეს ფლორენცია იტალიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ფაშისტებით აივსო. მაგრამ იმავე დღეს მუშებმაც დაიწყეს მახლობელი სოფლებიდან და ქალაქის განაპირა ადგილებიდან დენა.

ფაშისტები, რომლებიც მატარებლებით და ავტომობილებით მოდიოდნენ, თავიდან ფეხებამდე იყვნენ შეიარაღებულნი.

მატარებლით წამოსულ მუშებს კი გზაში ჩხრეკდნენ და ვისაც იარაღს უნახავდნენ, მაშინვე აპატიმრებდნენ.

უფრო გამოცდილი და მოხერხებული მუშები ასეთ ოინს პოლიციისაგან წინდაწინვე ელოდნენ და ასე ადვილად არ ვარდებოდნენ იმათ მახეში: ისინი ფლორენციის სადგურზე მოსვლამდის გადადიოდნენ მატარებლიდან და შემდეგ თითო-თითოდ იპარებოდნენ ქალაქში.

დაიძრა მუშათა პროცესია.

საუცხოო სანახავი იყო.

ორკესტრის გუგუნნი...

სიმღერები...

წითელი დროშები...

თვითმუშა მუშას გული წითელი ნიშნით ჰქონდა მორთული.

ზღვა ხალხი...

მოზო და დედამისიც მათში ერიენ.

მუშათა პროცესია იმდენად მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა, რომ ფაშისტებმა ვერ გაბედეს მათი გზის გადაჭრა.

შემდეგ მიტინგი დაიწყო.

ყველაფერი მშვიდობიანად მიდიოდა.

ფაშისტები უცდიდნენ ბრბოს ჯგუფ-ჯგუფად დაშლას და ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში ცალკე მიტინგების მოწყობას: ფაშისტები მხოლოდ მაშინ შესძლებდნენ დაქსაქსული მუშების დაძლევას, ასეც მოხდა;



მოზო ყოველდღე სკოლაში დადიოდა.

მიტინგი პატარ-პატარა კრებებად დაქუცმაცდა.

მოზო და ტერეზია, სხვა მუშებში გარეუღლნი, დიდ მოედანზე იდგნენ და ორატორს უსმენდნენ, როდესაც უეცრად ქუჩის კუთხიდან ქარივით გა-

მოქროლდა ავტომობილი და შავ ხალათგადაცმული ფაშისტები ყორნების გუნდით გამოფინა მოედანზე.

ისინი რალა(უცხო სიმღერის უშნო ხრილით და მსხვილი ჯოხების ქნევით გაეშურენ მიტინგისკენ.

რომელიდაც გამხდარი, სახედანაოქებული ქალი შეშინდა და გაიქცა.

ორატორი დაიბნა.

მას აღარავინ უსმენდა.

ორატორმა მაინც მოახერხა მუშების გაფთხილება:

— უმიზნო იქნება, ამგანაგებო, რომ უიარაღო მუშები შევებრძოლოთ თავიდან ფეხებამდე შექურვილ ფაშისტებს, რომლებსაც პოლიციაც ეხმარება, — დაიყვირა ორატორმა.


მოზო მაინც არ იყო ორატორის თანახმა.

მის ფეხებთან მუშტის ოდენა რიყის ქვეები იყო დაწყობილი. მოზომ უეცრად ქვას წაავლო ხელი და მთელი თავისი ძალ-ღონით ერთი ფაშისტისკენ გაისროლა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, რაზმის უფროსი უნდა ყოფილიყო.

მოზოს თვალებმა არ უმტყუნა: რაზმის უფროსს ქვა პირდაპირ საფეთქელში მოხვდა.

მისი თავიდან უცებ სისხლმა დაიწყო თქრიალი და გონებადაკარგული ფაშისტი უგრძობლად დაეცა მიწაზე.

საქმე რომ ამით გათავებულებოდა, მუშები დიდ საფრთხეში ჩაეარდებოდნენ: ფაშისტები ცეცხლს გააჩენდნენ. მაგრამ რაზმის უფროსის წაქცევისთანავე მეორე ქვა მის გვერდით მდგომ ფაშისტს პირდაპირ შუბლში მოხვდა და წამსვე ისიც ძირს დაეცა. ტყუილად კი არ ვარჯიშობდა მოზო სოფელში ღორების მწყემსვის დროს მიზანში ქვების სროლაში. სანამ ფაშისტები აღგილიდან დაიჭვროდნენ, მან მესამე და მეოთხე ქვის გასროლაც მოასწრო. ეს კი თითქოს ნიშანი იყო: მოედნიდან, სახლის სახურავებიდან, აივნებიდან, ქუჩებიდან, ყოველი კუთხიდან სეტყვასავით წამოვიდა ფაშისტების თავზე ქვები, ანგურები და კრამიტის ნატეხები. ზოგიერთმა



ამხ. ა. რიკოვი.

მათგანმა რევოლვერიც იძრო, მაგრამ უშედეგოდ: ქვების სეტყვამ მათ არ მისცა დამიზნების საშუალება.

ისინი დაფრთხენ, ავტომობილს მივარდნ და უკვალოდ გაიქცენ...

განუსაზღვრელმა აღტაცებამ და სიხარულმა მოიცვა მუშები. მათ ხელში ამაყად ფრიალებდა წითელი დროშა.

უცებ მთელ ქალაქს მოედო მათი მქექარე გუგუნი.

მოზოს კი მუშათა და ბავშვების ჯგუფი გარს შემოხვეოდა. ზოგი ჰკოცნიდა და ზოგი გულში იკრავდა. ის კი აღტაცებული თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა და ყვიროდა:

— ძირს ფაშიზმი! გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

კარუზო.

პიონერებო! გამოვიდეთ კომპარტიისან ერთად საპარტიო შეგანთობაზე.

ოქტომბრის კახილი

საჭეს ძლიერად ჩასქიდეთ მკლავი,
 ნუ დაანებებთ ზვირთების ტრიალს.
 გახედეთ ირგვლივ, კუბრივით შავი
 მთების ოდენა ზვირთები ჰყრია.

გახსოვთ ის ღამე, როცა გრიგალი
 მეტის სიმძაფრით ზღვაზე ჰკიოდა?
 ჩვენ მაინც მედგრად აუეშვით ნავი
 აბობოქრებულ სანაპიროდან.

სიმტკიცით ვძლიეთ, შიშველ კუნთებით
 ჩვენ ვეომებით სასტიკ გრიგალებს;
 უკან არასდროს არ დავბრუნდებით,
 რაკი ამდენი გამოვიარეთ.

ან უკან, ცრემლის და ტანჯვის გარდა,
 თანამებრძოლნო, რა დავგრჩენია?!
 ვინც ჩვენთან არის და ვინც გვიყვარდა,
 მათთვის დღეს ბინად ჩვენი გემია.

საქე პირდაპირ! შუა ზღვაში ვართ,
 ნუ შეჩერდებით გამარჯვებამდე!
 ირგვლივ მქუხარე ზვირთნი გაშლილან
 და ჩასანთქმელად გვიდარაჯებენ.

განა მებრძოლი ამოწვდილ მახვილს
 უკან ჩააგებს ქარქაშში მხდლოურად?
 საქე პირდაპირ, ჩვენი ძახილით
 აღმოსავლეთი დახანძრებულა.

გვესმის შორიდან ხმა თანაგრძნობის
 და ჩვენც სავსე ვართ იმ იმედებით,
 რომ შეუწყვეტელ შრომით და ბრძოლით
 ახალ ქვეყნას შევეგებებით.

სიმტკიცით ვძლიეთ, შიშველ კუნთებით
 ჩვენ ვეომებით სასტიკ გრიგალებს;
 უკან არასდროს არ დავბრუნდებით,
 რაკი ამდენი გამოვიარეთ.


კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

ბრძოლავისათვის მზად ვართ!

ძმებო, ახლა,
 როცა ირგვლივ
 სიხარულის
 ტალღა გფარავს,
 და ქუჩებში საყვირებით
 თავზარსა ვცემთ
 ყველა მტარვალს,—
 ჩვენ გადმოგვცეს,
 თუ რამდენგან
 სისხლის ღვართა
 გუბე დადგა,
 რომ
 ბრძოლებში გამარჯვებულთ
 ჩამოაკლდა
 ძმები მრავლად...
 ოქტომბერი,
 რომელსაც დღეს
 ვადიადებთ,
 ვესვრით სალამს,

ცეცხლის,
 ქარის ნაყოფია,
 ძველ ბელადებს
 ვუხრით ალამს.
 მუდამ გვახსოვს
 სახლში, კარში,
 როცა მედგრად
 მივალთ, მივალთ,
 ვაბანავებთ
 კუნთებს მზეში,—
 რომ მტერი ჰყავს
 ჩვენ საბჭოებს
 ძლიერ ბევრი...
 ბრძოლებისთვის
 მზად ვართ! მზად ვართ!
 ყველა მტარვალს
 ჩავცემთ მკერდში!..

ი. ასათიანი.



ჩვენს ხომ ვიბრძოდით!

— იცი, კოლა, — მითხრა ჩემმა მეგობარმა, — მამაჩემმა გუშინ ქარხანაში წამიყვანა, მუშებს კრება გაემართათ და ისე საინტერესო ლაპარაკი ჰქონდათ, რომ..

— ყველაფერი გაიგე? — ვკითხე მე.

— ყველაფერი.

— ახ! ნეტაც მეც წამოგსულიყავ...

— მართლა, მამაშენიც ხომ იქ იყო და რატომ არ გამოჰყვევი?

— ხომ იცი, გივი, დედა ავად მყავს, ავადმყოფს სახლში მართო ხომ ვერ დაგტოვებდი! — შეფიქვლე მე.

გივი მეტად გულკეთილი და გონიერი ბიჭი იყო, ამიტომ მე ის ძალიან მიყვარდა, მიყვარდა და ვაფასებდი კიდევც; წლოვანობითაც ტოლნი ვიყავით: ათის წლისა იყო გივიც და მეც.

— იცი, კოლა, იქ ამობდენ, რომ მთავრობა მუშებისგან უნდა შევადგინოთო და ეს სიტყვები მეც მახარებდა, მახარებდა და ახლაც მიხარია და ვიცი, რომ ეს შენც გაგახარებს, რადგან მუშებს აღარაფერ დაჩაგრავს, მათი ხელმძღვანელი მათივე ამხანაგი იქნება და არა რომელიმე დიდი წოდების კაცი.

გივის სიტყვებმა ჩემზე ძალიან კარგად იმოქმედა, გუნება შემეცვალა და ღიმილით წარმოვთქვი:

— რა კარგი იქნება! იცი, გივი, მაშინ ჩვენც ბედნიერები ვიქნებით, ისე, როგორც ახლა ქარხნის მეპატრონის ვაჟი. მაგრამ ჩვენ ისე არ ვიამპარტავნებთ, როგორც ის, არა, გივი?.. იცი, იმ დღეს ერთ უპატრონო ბავშვს თავში ქვა ჩაარტყა, დედაც გვერდზე ჰყავდა და შეიღს ერთხელაც არ გაუჯავრდა, პირიქით, უპატრონო ბავშვს შეჰკვირა: „იქით დაიკარგე, შე წუმპელაო“. საწყალი ბავში ტიროდა და თავიდან სისხლი წვეთდა. ეს რომ ვნახე, ბავშვს მივეშველე და შინ წამოვიყვანე; თავი მოვბანე, შევეუხვიე და ჩემი ტანისამოსი ჩავაცვი. მამა რომ მოვიდა, ძალიან გაუხარდა და ქცევაც მომიწონა. ის ბავში ახლა ჩვენთან არის. თუ გინდა, წამო, გაგაცნობ და მერე სამივემ რამე ვითამაშოთ.

— წავიდეთ, ჩემო მეგობარო, — მითხრა გივიმ და მკლავში ხელი მომიჭიდა. ჩვენ გავუხვიეთ ვიწ-

რო ქუჩისკენ და ორი სამი წუთის შემდეგ მივედით ჩვენსა.

— გამარჯობა, მიშა, — მივამხე მისვლისთანავე უპატრონო ბავშვს, რომელიც ავადმყოფ დედაჩემს დასტრიალებდა.

მან ხელი გამომიწოდა.


— მიშიკო, გაიცანი ჩემი ძმობილი, — ვანიშნე მე გივიზე.

გივიმ და მიშამ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

ცოტა ხნის ბაასის შემდეგ ჩავედით ეზოში და „სალდათობის“ თამაშობა დავიწყეთ.

* * *

იმ დღეს მამაჩემი ჩვეულებრივზე უფრო ადრე მოვიდა, გადმოიღო შავი პურის ნატეხი და მარილით ჭამა დაიწყო. შემდეგ ტახტზე წამოწვა და ფიქრებს მიეცა.



მუშათა დემონსტრაციის დახვერტა 1917 წ. ივლისში ლენინგრადში.

შევამჩნიე, რომ ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, მხოლოდ დედაჩემს გამოჰკითხა, თუ როგორ იყო ჯანზე. შემდეგ კი გაინაბა.

მამაჩემის ასეთმა ქცევამ გამაკვირვა და ვინ იცის რა მაფიქრებინა.

მამას დაეძინა, მე და მიშიკომ მარილით პური გახელით, წყალი დავატანეთ და ჩავწექით ლოგინში.

შუალამისას ხმაური მომესმა. გამომეღვიძა. შევამჩნიე, რომ მამაჩემი ამდგარიყო და რევოლვერს სწმენდა.



ამბ. ნ. ბუხარინი.

ყურადღება მივაქციე, მაგრამ ისე, რომ მას ეს არ შეუძინებია.

რევოლუციური ააწყო, ჩაიღო ჯიბეში, ქული დაიხურა და გარეთ გავიდა.

მე მივხვდი, რომ რაღაც საიდუმლო ამბავი ხდებოდა. მაშინვე ფეხზე წამოვხტი, გავაღვიძე ჩემი მეგობარი.

საჩქაროდ ტანთ ჩავიცვი. ჩვენს ხმაურზე დედაჩემს გამოეღვიძა.

— რა ამბავია, კოლა? — მითხრა კოლამ, — ასე ადრე რად აღექი?

— არაფერია, დედილო, მამა ქარხანაში წავიდა, გუშინ რაღაცა დარჩენია და დღეს მოაგონდა, — ვუბასუხე მე.

— რა? ამ დროს?.. მაგრამ შენ სადღა მიდიხარ?

— მოტანა უნდა ვუშველო, მამამ მითხრა: შენ და მიშა ერთად წამოდიტო.

— არაფერი არ მესმის! — წარმოსთქვა დედაჩემმა და თვალებში ჩამაჩერდა.

— არაფერია, დედილო, ჩვენ ჩქარა წამოვალთ, — ვუთხარი მე და კარებისკენ წამოვედი.

გარეთ რომ გამოვედი, მიშას ვუამბე მამიჩემის ქცევა და ორივემ ქარხნისკენ მოვკურცხლეთ. ქარხანას რომ მივუახლოვდით, შევამჩნიე მამაჩემი, რომელიც კარებში შევიდა.

ჩვენც შევეყვით. ჩვენს ფეხის ხმაზე მამაჩემმა მოიხედა ისე, თითქოს საბრძოლველად მოემზადაო, გვიცნო და შეჩერდა.

— აქ რამ მოგიყვანათ? — წყრომით შემოგვიძახა მან.

— შენ წამოგყვით, — მივუხე მე.
— მერე რა გინდათ ჩემთან?

— გაქირვებაში გამოგადგებით, — ვუბასუხე მამაჩემი კოლა ხანს შეჩერდა, ავგათვალე რაგვათვალეირა, თითქოს პირველად გვხედავსო, და შემდეგ გვითხრა:

— კარგი, ჩემთან დარჩით.

მე და მიშაკომ ღიმილით გადავხედეთ ერთმანეთს.

მამამ შეგვიყვანა მოზრდილ ოთახში, სადაც მუშების საკმაოდ დიდ რიცხვს მოეყარა თავი.

რამდენიმე წუთის შემდეგ კრება გახსნეს.


მამაჩემი მომიახლოვდა და მითხრა:

— წადით ქუჩის კარებთან და უყურეთ, რომ მტრის რაზმელებმა არ მოგვასწრონ. თუ შეამჩნიოთ — შეგვატყობინეთ.

ჩვენ მაშინვე გავიქეციტ.

* * *

გათენდა. შემოგვესმა ფეხის ხმა და ყურები ვცქვიტეთ. უცებ ვილაცამ ორივეს ხელი წაგვაგლო. შევკრთით, მივიხედეთ და ვნახეთ, რომ მთავრობის რამდენიმე რაზმელი თავს გვადგა.



ჩუმად გავყვით მამას.

— აქ ვის უღარაჯებთ, თქვე არამზადებო? შე მოგვძახა ერთმა და ყურები ღონიერად აგვიწია.

ტკივილისგან ორივემ დავიკვნესეთ. — აბა, გავგიძეხით — და მან ყურების წევით ქარხნის ეზოში შეგვიყვანა.

— აქ არავინ არის, — შიშით წარმოვთქვით ჩვენ.



— მუშები მაგ ეზოში შედიოდნენ, მე კარვად დავინახე, — წარმოსთქვა ერთმა პატარა კაცმა.

მე მაშინვე მივხვდი, რომ ის ჯაშუში უნდა ყოფილიყო.

საქმე ცუდად მიდიოდა, დარწმუნებული ვიყავი, რაკი რაზმელები ეზოში შემოვიდნენ, მუშებს აუცილებლად იპოვიდნენ...

— წაგვიყვანეთ ჩქარა, სადაც მუშები არიან შეკრებილი, თორემ...

და ერთ-ერთმა რაზმელმა ხმალი ჰაერში გააელვარა.

ჩვენ თვალები დავხუჭეთ, სიკვდილის მოლოდინში ტანში ჟრუანტელი გვივლიდა, მაგრამ კიდევ ის გვაფიქრებდა, რომ მუშებს იპოვიდნენ და...

— წამოდით! მიგასწავლით, სადაც არიან მუშები შეკრებილნი, — ვუთხარი მე.

რაზმელებს ღიმილმა გადაჰკრა სახეზე. მიშამ მკლავში გამომწია და ანთებული თვალები შემომანათა.

და როცა მარჯვნივ გადავუხვიეთ, მიშას უნებურად სახის გამომეტყველება გამოეცვალა.

რაზმელები იარაღმომარჯვებულნი მოგვდევდნენ. ჩვენ შეეჩერდით სასხმედრო ამქრის კარებთან.

— აქედან უნდა გავიდეთ, თორემ სხვა გზით შეგვაძინებენ, — ვუთხარი მე რაზმელებს.

მე და მიშა ამქარში შევედით. მოვასწარ და მიშას რაღაც წაფურჩულე. ის ჩქარა მიხვდა და გაელიმა.

რაზმელები ყველანი შემოვიდნენ და აქეთ-იქით თვალიერება დაიწყეს.

— ს... ს... ს!.. — შევაჩერე ყველანი ისე, თითქოს რაღაც ხმაურობა გავიგონე.

ისინიც გაინაბენ. კარებს ხელი მოვჭიდე და გარეთ გამოვიხედე...

მიშაც ასე მოიქცა...

უცებ გავხტით გარეთ, კარები მივიხურეთ და გარედან გადავრახეთ.

რამდენიმე რაზმელი ოთახის ფანჯრის რკინის მოაჯირს მოადგა და გვესროლა ტყვიები.

მიშამ ამოიკვნესა და მიწაზე დაეშვა.

— მშვიდობით!.. ძმობილო!.. — გავიგონე ხრინწიანი ხმა.

— მიშა! მიშა! — მივაძახე მე და ზედ დავეცი. პასუხი არ მიმიღია, მხოლოდ დავინახე, რომ პირიდან სისხლი გადმოდიოდა.

რაზმელები კიდევ სკლიდნენ თოფებს. მივიხედე და ვნახე, რომ სასხმედრო ამქრის კარები სულ დახვრეტილი იყო.

— ისროლეთ!.. ისროლეთ!.. მინდა მუშები შასთან მოვკვდე... — ვღრიალებდი მე.

ყურზე რაღაცამ გამკაწრა, ხელი წავივლე. სისხლი თქრიალით გადმომიდიოდა. თავდავწყებიდან გამოვედი. მომაგონდა მუშები, რომლებსაც იქ კრება ჰქონდათ და ყოველ წუთს ხიფათი მოელოდათ.



ძირს დავეცი.

წამოვდექე და გაქცევა დავაპირე, მაგრამ მარჯვენა ფეხი ველარ დავძარი.

მეტკინა, ძირს დავეცი, რეტი დამესხა და ვეღარაფერი გავარჩიე...

* * *

გონს რომ მოვედი, მამაჩემი და ვიღაც თეთრ-ტანსაცმელში ჩაცმული ქალი მადგნ თავზე და მივილიდნენ.

— მამა! აქ როგორ მოხვედი? — ვკითხე მე.

— აქედან რომ სროლა მოგვესმა, შევფიქრიანდით, კრება დავხურეთ და ყველა აქეთ გამოვეშურეთ.

მე მივიხედე, სადაც დამწყვდეული რაზმელები მეგულებოდნენ.

— იქ აღარავინ არის, ყველანი შევიპყარი, — მითხრა მამაჩემმა.

— მამილო! რა საშინელი სროლა მესმის, რას ნიშნავს, ან საიდან არის? — ვკითხე მე.

— ეს რევოლუტიაა. გახსოვდეს, შვილო, დღევანდელი დღე — ამ სიტყვებით მამაჩემმა გადამკოცნა და რევოლუტერად მოღებულები გაექანა ქუჩის კარებისკენ.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, რომლის შემდეგ მამაჩემი აღარ მინახავს.

რევოლუტციამ გაიმარჯვა და გამართლდა ის, რაზედაც მე და გივი ვსაუბრობდით.

გ. ზარბიძე.

ა ზ ე თ ძ ე ბ ა

პირველი ინტერვიუ¹

სცენაზე გამოდის ვერიოვკინი, ხელში უჭირავს პაპიროსებით სავსე კალათი. მას შეცვლილი აქვს გარეგანი შეხედულება: ყბა შეხვეული აქვს, აცვია დახეული ტანისამოსი.

ვერიოვკინი (ბინოკლით იყურება მოპირდაპირე მხარისაკენ, შემდეგ სწრაფად დამალავს ბინოკლს და წამოიძახებს). დასცხე, დასცხე, დასცხე! აბა, კარგი პაპიროსი, პეტროგრადის ფაბრიკების კარგი პაპიროსი! „ზეფირი“, „ნევა“, „თებერვალი“, „იავა“ (შემოდის კაზაკი).

კაზაკი. მახორკა გაქვს?

ვერიოვკინი. მაქვს. დაყაჭე ორი შაური (კაზაკი აძლევს ფულს; ვერიოვკინი პაპიროსის კოლოფს ქალაქში გაუხვევს). აი, ეს ქალაქში შენ, საჩუქრად... (ჩუმად) მხოლოდ იცოდე, ეს უბრალო ქალაქი არ არის... ამ ქალაქში ჰკვიანი ხალხი სწერს ახლანდელ მდგომარეობაზე...

კაზაკი. მე რომ კითხვა არ ვიცი!..

ვერიოვკინი. მამ სთხოვე ვისმე ყაზარმაში, რომ წაგიკითხონ. მხოლოდ შენს უფროსებს არ აჩვენო.

კაზაკი (იქით-აქით იყურება). ეჰ, ახლა კი მივხვდი... აქ ოფიცრების და მემამულეების წინააღმდეგ სწერია, არა!.. ეგ სხვა საქმეა, ამის წამკითხველს კი ვიშოვნი (გადის).

ვერიოვკინი. აბა, კარგი პაპიროსი! „ზეფირი“, „ნევა“, „თებერვალი“, „იავა!“ (შემოდის ჩიჩაგოვი).

ჩიჩაგოვი. მომეცი ათი ცალი „ზეფირი“.

ვერიოვკინი. (აძლევს პაპიროსს) ინებე!

ჩიჩაგოვი. აილე ფული (აძლევს ფულს).

ვერიოვკინი (გაკვირვებული). ჩიჩაგოვი!?

ჩიჩაგოვი (უკვირდება ვერიოვკინს). ვერიოვკინი!?

ვერიოვკინი. გადარჩი?.. ცოცხალი ხარ?.. ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ შენ უკვე დაგხვრიტეს!.. როგორ გამოეპარე?..

ჩიჩაგოვი. ნულარ მკითხავ! ძალით გამოვიქეცი... მე კაზაკებმა დამიჭირეს: ჯიბეში ყუმბარები მქონდა... ოფიცრმა ყვირილი დამიწყო, დამკითხა... შემდეგ წავიდა... ოთახი კი დაკეტა... მე ვისარგებლე ამით, ფანჯრიდან გადმოვედი და დავეშვი მიწაზე...

ვერიოვკინი. ყოჩაღ, ყოჩაღ!.. ყუმბარები რაღა უყავი!..

ჩიჩაგოვი. ყუმბარები გადავარჩინე... მერე... ისა... წავიღე შინ და იქ ბაღში მიწაში დავმალე...

ვერიოვკინი. შენ კი სად დაიმალე?

ჩიჩაგოვი. ძია მიშასთან დავიმალე... ქუჩაში არ გამოვდიოდი, მეშინოდა არ დავეჭირეთ... თქვენ კი როგორ ხართ? ყველანი კარგად არიან?

ვერიოვკინი. ყველანი ცოცხლები არიან. ვმუშაობთ გაშვებული. [მიშკინის მამამ სტამბაში ააწყო მოწოდება კაზაკებისადმი. მან მოგვცა ორი საგორავი, სტამბის საღებავები... მოწოდების ფურცლები სარდაფში დაგბეჭდეთ.

ჩიჩაგოვი. სარდაფში?.. რომელ სარდაფში?..

ვერიოვკინი. სსსუ... გასწი აქედან. კაზაკების ოფიცერი მოდის. (ჩიჩაგოვი გარბის და სოტნიკოვს დაეცემა. სახეს ცხვირსახოცით იმალავს და მეორე მხარისაკენ მიდის).

ვერიოვკინი. პეტერბურგის ფაბრიკის პაპიროსები, აბა კარგი პაპიროსები: „ნევა“, „ზეფირი“, „საფო“.

სოტნიკოვი. სიგარა გაქვს?

ვერიოვკინი. სიგარა არა მაქვს. პაპიროსი კი მაქვს, რა ხარისხისაცა გნებავთ! (აჩვენებს პაპიროსებს)

სოტნიკოვი. აი, ეს პაპიროსი რა ღირს? ჰო, თუმცა ფასი რა საჭიროა... (იღებს ჯიბიდან ფულს) ჰა, აილე ორი შაური.

ვერიოვკინი. ეგ პაპიროსი ათი შაური ღირს.

სოტნიკოვი. ბევრს ნუ ლაპარაკობ! ორი შაურიც გეყოფა. (უკვირდება ვერიოვკინს. ვერიოვკინი თავს დაბლა დახრის, პაპიროსებს ალაგებს, არ უნდა შეხედოს სოტნიკოვს) აქეთ შემომხედე! მაგონდება, თითქოს სადღაც მინახავხარ...

ვერიოვკინი. თქვენ პაპიროსები იყიდეთ ჩემგან. კიდევ ექვსი შაური დარჩა თქვენზე. მიბოძეთ, თქვენო მალაქეთილშობილებავ!..

სოტნიკოვი. ხვალ მიიღებ.

ვერიოვკინი. როგორ შეიძლება, თქვენო კეთილშობილებავ!.. ფული...

სოტნიკოვი. მე შენ მოგცემ ფულს!.. გასწი აქედან! აბა, კიდევ ერთი ასანთი მომეცი (იღებს ასანთს და მიდის).

ვერიოვკინი. (ვითომ სტირის) თქვენო კეთილშობილებავ...

ჩიჩაგოვი. (შემორბის) რას გეუბნებოდა?

ვერიოვკინი. პაპიროსი წაიღო მაგ საძაგელმა. მოიცა, მოიცა, შე საზიზლარო! ხვალ კი დადგება თქვენი აღსასრულის დღე... როგორ ვერ გიცნო მაგან, შენ ხომ პირდაპირ დაეტაკე!

ჩიჩაგოვი. მე ცხვირსახოცი დავიფარე. სად იკრიბებით ხოლმე, მითხარი. მინდა ვნახო ჩვენი ყმაწვილები.

ვერიოვკინი. სსსუ... ჩვენ ვიკრიბებით სარდაფში, გინაზიის შენობის ქვეშ... იქ ძალიან მოხერხებული ადგილია, ეჭვსაც ვერავინ აიღებს... დეზალინმა მოაწყო.

ჩიჩაგოვი. აი, ყოჩაღ. მეც მომცემთ სამუშაოს?

ვერიოვკინი. სამუშაო ბევრი გვაქვს, ყველას ეყოფა. მე ახლა იქ მივდივარ, მომეყ უკან!

ჩიჩაგოვი. წავიდეთ... (გადიან).

¹) დასაწყისი იხ. „პონერის“ № 18.

მეორე მოქმედება

სარდაფი გიმნაზიის შენობის ქვეშ. ჭერზე ელექტრონის ლამფა არის ჩამოკიდებული. სარდაფში აწყვია ყუთები, ცემენტის კასრები. ვორონცოვი და დებალინი ბეჭდავენ ფურცლებს.

ვორონცოვი. მოიცა, ცუდი ნაბეჭდი გამოდის. საღებავი ხშირად წაუსვი და საგორავი მაგრად მიუსვამოუსვი.

დებალინი. საღებავი უნდა შევცვალოთ, ძალიან თხელია.

ვორონცოვი. რამდენი ცალი დავბეჭდეთ?

დებალინი. ას ოცი.

ვორონცოვი. ნახევარი უკვე დავგიბეჭდია. დაჯექი, დავისვენოთ.

დებალინი. პაპიროსი გაქვს?

ვორონცოვი. ჰა, დაიჭი (გადაუგდებს პაპიროსს. სწევინ. სცენის იქით ისმის სროლის ხმა).

დებალინი. თოფის სროლაა...

ვორონცოვი. თავს ირთობენ ის საძაგლები... (დერეფანში ხმაურობა). სსსუ... დამალე შრიფტი... ფურცლები მოაგროვე. (ისმის კარების კაკუნის ხმა).

დებალინი. ჩვენებია!.. (კარებს უღებს. შემოდის ნასტია, ხელში უჭირავს კალათი, რომელშიაც აწყვია კრენდილები. ძალიან დაღლილია).

ვორონცოვი. ნასტია, რა დავემართა.

ნასტია. თოფი მესროლეს...

დებალინი. ვინ გესროლა?

ნასტია. პატრულმა. მომადახეს შეჩერდით. ამ კალათში კრენდილების ქვეშ ჩაწყობილი მაქვს ფურცლები, ამიტომ არ შევჩერდი. გამოვიქეცი. აი, უყურეთ, კაბაში მომახვედრეს კიდევ ტყვია. მაგრამ ეს არაფერი. ყმაწვილებო, ძალიან საჩქარო საქმეა... იცით, ყმაწვილებო, ჩაიკინი ქალაქშია.

ვორონცოვი. შეუძლებელია!

ნასტია. გეუბნებით, რომ აქ არის. აი, ახლა შევხვდი სვერჩკოვს. იმან მითხრა გადაეცე ჩვენს ყმაწვილებს, რომ საღამოთი ყველანი შეიკრიბონ. სთქვა, რომ ჩაიკინი მოვა კრებაზე ძალიან საჩქარო საქმისათვის.

ვორონცოვი. მე კი გავიგე, რომ ის გარეთ უბანში დააპატიმრეს.

ნასტია. ტყუილია. ჩხრეკა მთელ ქალაქში იყო. გარეთ უბანში 30 ამხანაგი დააპატიმრეს. ჩაიკინი გააფრთხილეს, მან გადაიცვა ტანისამოსი: ჩაცვა ჯარისკაცის ფარაჯა და გაიქცა. დღეს კი მოვა აქ, ჩვენთან.

ვორონცოვი. ყოჩაღ!

ნასტია. საქმე კარგად მიდის. ყმაწვილებო, კაზაკებში მღელვარება იწყება.

დებალინი. ჩვენი მუშაობა, ყმაწვილებო...

ვორონცოვი. მოიცა, ნუ ჩქარობ...

ნასტია. ფურცლები უკვე დაბეჭდეთ?

დებალინი. ას ოცი ცალი მზად არის, აი, ნახე, როგორ გამოდის! არა უშავს რა, გაარჩევინ.



ამხ. კალინინი.

ნასტია. (ხელში აიღებს ფურცელს. კითხულობს გრძნობით) „ამხანაგო კაზაკებო! რევოლუციის მოლაღატენი—კერენსკი გენერლებთან, მემამულეებთან და ფაბრიკანტებთან ერთად—თქვენ გაგზავნიან წითელი პეტერბურგის წინააღმდეგ, გეუბნებიან, რომ ბოლშევიკები ხალხის მტერი არიან, მოსყიდული არიან გერმანულეზისაგან და რუსეთის დაღუპვა უნდათ. ნუ დაუჯერებთ, ამხანაგო კაზაკებო. ბოლშევიკები ცდილობენ ომის შეწყვეტას, რომელსაც კაპიტალისტები აწარმოებენ, ბოლშევიკები ცდილობენ, რომ მიწა გადაეცეს გლეხებს და ფაბრიკები კი მუშებს. აირჩიეთ კომიტეტები, დააპატიმრეთ მუშათა საქმის მოლაღატენი—ოფიცრები—და მიემხრეთ აჯანყებულ მუშებს. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას!“

დებალინი. იცით, ყმაწვილებო, ჩვენ დროს ტყუილად ვკარგავთ. ასაფეთქებელი წამალი გვაქვს?

ყველანი. გვაქვს.

დებალინი. მაშ ასე მოვიქცეთ: მოდი, წავიდეთ და ავაფეთქოთ შტაბის შენობა. ოფიცრები გავაგზავნოთ ზეტაში... იქ მათ დიდი ხანია ელიან.

ვორონცოვი. ნუ ჩქარობ! გაიგონე, რა გვითხრა ჩაიკინმა: „ეს ყველაზე უმთავრესია... ეს ჩვენ გამოგვადგება“... არა, ასაფეთქებელ წამალს ვერავის ვერ მავცემ, თუ ჩაიკინის ნებართვა, წერილი არ მივიღე. (ისმის კაკუნი)

ვორონცოვი. (მივა კარებთან) ვინ არის?

ვერიოკვინი (გარედან) მე ვარ, ვერიოკვინი. (დებალინი ადებს კარებს. შემოდის ვერიოკვინი). ყმაწვილებო, აბა, ვინ გამოიცნობს თქვენში, ვინ მოვიყვანე. (კარებისკენ მიბრუნდება) ჰეი, ამხანაგო, შემოდი! (შემოდის ჩიჩაგოვი).

ყველანი. (სიხარულით) ჩიჩაგოვი! (ყველანი შემოეხვევიან და ჰკოცნიან ჩიჩაგოვს).

ჩიჩაგოვი. დიახ, ამხანაგებო, მე აღარც კი ვფიქრობდი, რომ თქვენ შეგხვდებოდით.

ვორონცოვი. გვიამბე ჩქარა, როგორ დაუძვერი ხელიდან კაზაკებს.

ჩიჩაგოვი. ნულარ მკითხავთ. საშინელი მოსაგონელია... ჩემი დახვრეტა უნდოდათ. დავლონდი საშინ-



ამხ. პეტროვსკი.

ლად... როგორც კი მარტო დამტოვეს, გადავწყვიტე უკანასკნელი საშუალებისათვის მიმემართა: გავაღე ფანჯარა და პირდაპირ ქუჩაში გადავხტი.

დებალინი. აი, ყოჩაღ! არავინ დაგედევნა?

ჩიჩაგოვი. რასაკვირველია... მესროლეს... მაგრამ ვერ მომახვედრეს... ტყვია კინალამ ქუდში მომხვდა...

ვერიოვკინი. მოიცა, კირილე... მე შენ მითხარი, რომ მილს ჩამოჰყვედი და ისე დაეშვი ძირს, ახლა კი ამბობ, რომ პირდაპირ გადახტი.

ჩიჩაგოვი (შემკრთალი). მე მაშინ მოკლედ გაიმბე...

დებალინი. რატომ ყუმბარები არ აფეთქდა, როცა ქუჩაში გადახტი? შენ ხომ გადაარჩინე ის ყუმბარები!..

ჩიჩაგოვი, არა, ყუმბარები გაჩხრეკის დროს ჩამომართვეს...

ვერიოვკინი. მე კი მითხარი, რომ ბალში მიწაში დამალე.

ჩიჩაგოვი. მე გითხარი, რომ ბალში დავმალე? რას ლაპარაკობ, მე ეს არ მითქვამს... თქვენ კი, ყმაწვილებო, როგორ ხართ? ვორონცოვო, ასაფეთქებელი წამალი გადაარჩინე?

ვორონცოვი. გადავარჩინე, ბოსტანში შევინახე. როგორც კი მივედი შინ, მაშინვე მოვიდენ გასაჩხრეკად, მთელი სახლი გადაატრიალეს, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახეს.

ჩიჩაგოვი. ყოჩაღ, ყოჩაღ! ახლა კი სად არის, საიმედო ადგილას გაქვს შენახული? დიდი სიფრთხილეა საჭირო.

დებალინი. ვერაფერსაც ვერ ნახავენ... ასაფეთქებელი წამალი ახლა...

ნასტია (აწყვეტინებს). ასაფეთქებელი წამალი ახლა შტაბის შენობის ქვეშ არის. იქ არ დაუწყებენ ძებნას...

დებალინი. შტაბის შენობის ქვეშ?.. რა ლაპარაკობ?!

ნასტია. ჰო, მე და ვერიოვკინმა გადავიტანეთ იქ, ე. ი. არა შტაბის ქვეშ, არამედ ყაზარმის ქვეშ. (ჩუმად) გაჩუმდი, შე სულელო, კრინტი არ დასძრა.

ჩიჩაგოვი. ჩაიკინი ნახეთ? ამბობენ, ქალაქში იმალებო...

დებალინი. ჩაიკინი? იცით, ჩაიკინი დღეს აქ იქნება. ჩვენ მას ვჭირდებით: მეტად საჭირო საქმე უნდა დაგვავალოს. ამის შესახებ სვერჩოვმა უთხრა ნასტიას.

ვერიოვკინი. ჩაიკინი მოვა?

ნასტია. ჩაიკინი მოვა ხვალ, და არა დღეს...

ჩიჩაგოვი. აბა, ყმაწვილებო, მომეცით რამე საქმე, დროა მუშაობას შევუდგე. რა საქმეს მომცემთ?

ვორონცოვი. ფურცლებს გაავრცელებ?

ჩიჩაგოვი. რატომაც.

ნასტია. მოიცა, კირილე, მოიცა. ეს საქმე სახიფათოა, შენ მაშინვე დაგიჭერენ.

ჩიჩაგოვი. მე არ მეშინია. მაშინვე დავესხლტები ხელიდან. მომეცით ოცი ცალი ფურცელი.

ნასტია (ჩუმად ვორონცოვს). არ მისცე, საექვოა მაგის მოქმედება.

ჩიჩაგოვი. (იღებს ფურცლებს) მაშ მე მივდივარ.

ვერიოვკინი. მოიცა, რას მიეჩქარები? მოიცადე ერთი წუთი.

ჩიჩაგოვი. რისთვის-ღა მოვიცადო, წავალ, საქმეს გავაკეთებ.

ვორონცოვი. ეგ ფურცლები წაიღე გარეთუბანში. იქ კაზაკები არიან დაბანაკებული ბინებში. ხელში არავის მისცე, თორემ ჩავარდები. სადაც ღია ფანჯარა დაინახო, შიგ გადააგდე.

ჩიჩაგოვი. ვიცი, ვიცი... (მიდის კარებისაკენ).

ვერიოვკინი. (გზას გადაუღობავს). ჩიჩაგოვო, მომეცი, მომეცი ფურცლები: შენთვის საშინია იქ წასვლა.

ჩიჩაგოვი. რას მიედ-მოედები, გამიშვი... (მივა კარებთან) მე ერთ საათში მოვალ (მიდის).

ნასტია. (შეშინებული) ყმაწვილებო, ეს რა ჩაიდინეთ? დააბრუნეთ ახლავე.

დებალინი. რა ამბავია?

ნასტია. მეშინია, არ გაგვცეს.

ვერიოვკინი. მართალია, ყმაწვილებო! საექვოა მაგისი საქციელი, არეულად ლაპარაკობს. ახლა სთქვა, რომ ყუმბარები ჩხრეკის დროს ჩამოართვეს, მე კი მითხრა, რომ ბალში დამალა.

ვორონცოვი. შენიშნეთ, ყმაწვილებო, როგორ კითხულობდა, სად არის ასაფეთქებელი წამლებიო?..

დებალინი. რას ლაპარაკობთ, ამხანაგებო. რამდენი ხანია მაგას ვიცნობთ, ყოველთვის ჩვენთან ერთად იყო. რამდენჯერ გავგითევია მაგასთან და ფულიც მოუკია. სირცხვილია ამხანაგზე სთქვა, რომ ის მოლაღატა.

ვერიოვკინი. სსსუ!.. ამხანაგებო! ცხადია: ჩიჩაგოვი სტყუის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ კი არ



გამოქცეულა, არამედ ოფიცრებმა თვითონ გაუშვეს.

ვორონცოვი. მე გეუბნებოდით თქვენ, თუ რა იყო მოსალოდნელი ოფიცრის შვილისაგან.

ვერიოვკინი. საძაგელი, გამცემელი, რევოლუციის მოლაღატე...

ვორონცოვი. ვერიოვკინ, გაჩუმდი! საქმე უნდა გამოვასწოროთ.

ვერიოვკინი. როგორ გამოვასწოროთ? მოვკლათ ეგ მოლაღატე და მეტი არაფერი!

ღებალინი. დასამტკიცებელი საბუთი არ გვაქვს. უამისოდ არ შეიძლება მაგის მოკვლა.

ვორონცოვი. დროს ნუ ჰკარგავთ, ამხანაგებო. მას თვალყური უნდა ვადევნოთ.

ნასტია. მართალია! ვორონცოვი გაჰყვეს და ადევნოს თვალყური.

ვერიოვკინი, კარგი. ვორონცოვო, გაიქეცი, დაედეგე და ფეხდაფეხ მიჰყევი.

ვორონცოვი. მივიღივარ (ქამარს შემოირტყამს და ქუდს დაიხურავს).

ღებალინი. ფრთხილად, არ მიხვდეს, რომ მას თვალყურს ვადევნებთ.

ნასტია. მეორე მხარეზე იარე.

ვერიოვკინი. თუ რამე შენიშნო, მაშინვე უკან დაბრუნდი ჩვენთან. მაშინ ბინა უნდა გამოვიცვალოთ.

ვორონცოვი. ყველაფერს რიგზე ვავაკეთებ. როგორც ნატ პინკერტონი. (მიდის კარებისაკენ).

ვერიოვკინი. მოიცა, ყოველი შემთხვევისთვის ჩემი რევოლვერი წაიღე. (აძლევს რევოლვერს).

ნასტია. აბა, ჩქარა გაიქეცი, თორემ ვეღარ მიეწევი. (ვორონცოვი მიდის). ყმაწვილებო, ახლა ფეხიზღად უნდა ვიყოთ. მოაგროვეთ ყველაფერი, ყოველი შემთხვევისათვის (აგროვებენ ფურცლებს და ტომარაში აწყობენ. ისმის კარების კაკუნი).

ვერიოვკინი. აბა, ბანქო მოამზადეთ, ვინ იცის, იქნებ მალე დაგვესხან.

ღებალინი. მართალია, თუ მოგვისწრონ, ვუთხრათ, რომ ბანქოს ვთამაშობდით...

ნასტია. (ხმადაბლა) ჩაიკინი?

ვერიოვკინი. ვინ არის?

ჩაიკინი. მე ვარ, კარები გააღეთ. (შემოდის ჩაიკინი, გამოწყობილი ძველი ავეჯის მყიდველი თათრის ტანისამოსში).

ვერიოვკინი. რა გნებავს, რისთვის მოსულხარ? შენ...


ჩაიკინი. შურუმ ბურუმ, ძველი ნივთები იყიდოს. (მოიხსნის პარიკს) გამარჯობათ, ყმაწვილებო.

ყველანი. ჩაიკინი?!..

ჩაიკინი. მე გახლავარ, შეგეშინდათ?

ღებალინი. რა ძალიან შეცვლილი გქონდათ სახე! თქვენი ცნობა შეუძლებელი იყო. რა სასაცილო ხართ, ამხანაგო ჩაიკინო, ამ ტანისამოსში.

ჩაიკინი. აბა, ყმაწვილებო, საქმე მეტად სერიოზულია (შენიშნავს ტომარას, რომელშიაც ფურცლები აწყვია) ეს რა არის, მთელი სტამბა მოგიწყვიათ!



ამხ. ფ. მახარაძე.

ვერიოვკინი. 200 ცალი ფურცელი დავბეჭდეთ. მამაჩემმა ააწყო.

ჩაიკინი. ყოჩაღ, ყოჩაღ!..

ვერიოვკინი. მხოლოდ ერთი რამ გვაშინებს: ექვი გვაქვს ერთ ამხანაგზე, რომ ის მოლაღატეა. ამიტომ შესაძლოა მალე თავს დაგვესხან.

ჩაიკინი. მე მხოლოდ ორი წუთი დავრჩები თქვენთან, ჩქარა მითხარით, სად გაქვთ შენახული ასაფეთქებელი წამალი?

ვერიოვკინი. ვორონცოვის სახლში, სარდაფშია დამალული.

ჩაიკინი. ხვალ, ყმაწვილებო, გადამკრელი ბრძოლის დღეა,—ხვალ კადეტებს გავდევნით ქალაქიდან. ყმაწვილებო, თქვენი დახმარება ახლა ძალიან საჭიროა. მომისმინეთ. დადგენილება გვაქვს, რომ შეტევა დავიწყოთ ხიდის აფეთქებით, რომელიც ქალაქიდან 3 ვერსის მანძილზე იმყოფება. ჩვენ ამით გავწყვეტთ მათ კავშირს და შევქმნით პანიკას; ქალაქში კი ჩვენ უკვე ყველაფერი მზად გვაქვს. ამისათვის საჭიროა, რომ ასაფეთქებელი წამალი ამაღამვე იქნას მოტანილი იმ ხილთან. თუ ეს ვერ მოხერხდება, ნეშინ ყველაფერი დაიღუპება. კისრულობთ ასაფეთქებელი წამლის მიტანას?

ყველანი. ვკისრულობთ, ამხანაგო ჩაიკინო!

ჩაიკინი. მაშ ასე (შლის რუქას). უყურეთ, ეს წრე მეორე საღვურია, ხაზი—სკოლის გზა. აი, ხიდი...

ნასტია. ეს შემაერთებელი შტოა?..

ჩაიკინი. ჰო... მიხვდით?

ყველანი. მიხვდით.



ამხ. ს. ორჯონიძე.

- ჩაიკინი.** ეს არის საგუშაგო. ამაში სცხოვრობს გზის დარაჯი კობოზევი. ის ჩვენი. ასაფეთქებელი წამალი იმას უნდა გადასცეთ. მხოლოდ გახსოვდეთ, ყმაწვილებო, რომ მთელი ჩვენი საქმე ამ ასაფეთქებელ წამალშია. თუ არ შეგიძლიათ მიიტანოთ, პირდაპირ მითხარით.
- ყველანი.** მიიტანთ.
- ვერიოვკინი.** ნუ შიშობთ, ამხანაგო ჩაიკინო! მე პასუხს ვაგებ.
- ჩაიკინი.** თქვენ დიდი გამბედაობა გაქვთ, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა საქმის ვაკეთების უნარიც. ვინ წაიღებს ასაფეთქებელ მასალას?
- ვერიოვკინი.** ყველანი წავიღებთ.
- ჩაიკინი.** ორმა თქვენთაგანმა უნდა წაიღოს.
- ვერიოვკინი.** მაშ მე და კოლა წავიღებთ.
- ჩაიკინი.** კარგი. გზატყვილებზე ყარაული დგას. იმას არ წააწყდეთ. იარეთ ფრთხილად. შენ, ვერიოვკინო, წადი წინ, მზვერადად, შენ კი უკან მიჰყევი ასაფეთქებელი წამლით. თერთმეტი საათისათვის ასაფეთქებელი წამალი იქ უნდა იყოს მიტანილი.
- ვერიოვკინი.** ათ საათზე მიიტანთ.
- ჩაიკინი.** კობოზევს სახით იცნობთ?
- ვერიოვკინი.** არა.
- ჩაიკინი.** მაშ ასე მოიქეცი: მიდი მასთან და ჩუმად უთხარი, რომ სვერჩკოვმა გამოგზავნა. კობოზევმა პასუხად თავისი რკინის გზის სიგნალი უნდა გაშალოს, წითელი ფერისა. უამისოვ ასაფეთქებელი წამალი არ მისცე. თუ კობოზევი არ იქნება და სხვა ვინმე დაგხედეს, მაინც ასე მოიქეცი. გაიგე?
- ვერიოვკინი.** გავიგე, გავიგე!
- ჩაიკინი.** პირდაპირი გზით არ წახვიდეთ: გვესვრიან. მიხვეული გზით იარეთ, სასაკლაოების მახლობლად. იცით?
- ვერიოვკინი.** ვიცით, ვიცით!
- ჩაიკინი.** მეტი არაფერი.
- დებალინი.** დაბეჭდილი ფურცლები თქვენ გადმოგცეთ, ამხანაგო ჩაიკინო?
- ჩაიკინი.** მომეცი. (დებალინი გადასცემს ფურცლებს. ჩაიკინი იკეთებს პარიკს და მიდის კარებისაკენ)
- აბა, ყმაწვილებო, მშვიდობით, ხვალ გნახავთ. სალამოთი ჩემთან მოდით შტაბში, ძველ ადგილას (კარების ძლიერი ბრახუნი).
- სოტნიკოვი.** კარები გააღეთ!
- ვერიოვკინი.** ვინ ხარ?
- სოტნიკოვი.** კარები გააღეთ, თორემ გვესვრით...
- დებალინი.** ჩხრეკა!..
- ვერიოვკინი.** დაიმალოთ, ამხანაგო ჩაიკინო!
- ჩაიკინი.** მშვიდად, ყმაწვილებო! (ამოიღებს რევოლვერს და კუთხეში სდგება) გააღე კარები! (ვერიოვკინი კარებს უღებს).
- სოტნიკოვი.** (შემოდის. მას თან შემოჰყვებიან თოფიანი კაზაკები) რატომ აქამდე არ გააღეთ კარები? გაჩერდით, ადგილიდან არ დაიქრათ! ხელები მალა! (ყველანი ხელებს მალა ასწვევენ) ვინ ხართ? რას აკეთებთ აქ? მაკარენკო! (დერეფანში ისმის თოფის სროლის ხმა და ვორონცოვის ყვირილი: (თავს უშველეთ, ამხანაგებო, კაზაკები!)).
- სოტნიკოვი.** მტრის ბანაკია! (ჩაიკინი რევოლვერს ესვრის ელექტრონის ლამფას; ლამფა ჩაქრება) არავინ არ გაუშვათ!.. (სიბნელეში იწყება ხელჩართული ბრძოლა. ხმაურობა, ყვირილი. ყმაწვილები გარბიან დერეფანში. ხმები: „შესდექი, დაიჭირე!..“ და სხვ. შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდება. ჯარისკაცებს შემოჰყავთ ოთხი ყმაწვილი. სოტნიკოვი გაანათებს ელექტრონის ლამფას).
- მაკარენკო.** (მიუთითებს ვორონცოვზე) აი, ეს ისროდა. მას რევოლვერიც აღმოაჩნდა. ინებეთ რევოლვერი.
- სოტნიკოვი.** გაიქცა ვინმე?
- მაკარენკო.** დიახ, თქვენო კეთილშობილებავ! ორი გაიქცა სიბნელეში.
- სოტნიკოვი.** ის მეთაური დაიჭირეთ? სად არის?..
- მაკარენკო.** გაიქცა, თქვენო კეთილშობილებავ!..
- სოტნიკოვი.** (ყვირილით) ციხეში ამოგალპობ, შე საძაგელო!..
- ვერიოვკინი.** (დებალინს) სად არის ნასტია?
- დებალინი.** გაიქცა, გადაჩა!
- სოტნიკოვი.** ვინ არის ის კაცი, აქ რომ იყო?
- დებალინი.** თათარი იყო.
- სოტნიკოვი.** საიდან მოვიდა?
- ვერიოვკინი.** გარეთუბნიდან მოვიდა.
- სოტნიკოვი.** როცა ოფიცერს ელაპარაკები, ქუდი უნდა მოიხადო, შე უზრდელიო! ჩქარა მიპასუხე, რისთვის მოვიდა აქ?
- ვერიოვკინი.** აი, ეს კრენდილები მოიტანა.
- სოტნიკოვი.** გაჩუმდი, შენ არ გელაპარაკებიან! მე ვიცი, ის გადაცმული ბოლშევიკი იყო. თქვენ კი რას აკეთებდით, თქვე არამზადებო?
- დებალინი.** ბანქოს ვთამაშობდით.
- ვერიოვკინი.** აი, ბანქოც ავერ აწყვიდა.
- სოტნიკოვი.** (ათვალღიერებს ოთახს) ეს რაღა არის? ფურცლები? ჰაა, დაზვაც ავერ არის! აი, როგორ ბანქოს თამაშობდით!.. მაკარენკო, ყველანი სარდაფში წაიყვანე.



მაკარენკო. მესმის, თქვენო კეთილშობილებავ!
სოტნიკოვი. შენი სიცოცხლით ავებ პასუხს მავათზე, კომენდანტს მიუყვანე და ხელწერილქვეშ ჩააბარე. გაიგე?
მაკარენკო. მესმის, თქვენო კეთილშობილებავ!
სოტნიკოვი. აბა, გაჩხრიკეთ შენობა. დაზვა და ფურცლები შტაბში წამოიღეთ.

დებალინი. დავიღუპეთ, ვმაწვილებო! ახლა ვილა წაიღებს ასაფეთქებელ წამალს?.. მოვატყუეთ ჩაიკინი...
ვერიოვკინი. არა უშავს რა, გზაში უნდა გავიქცეთ როგორმე. თერთმეტ საათამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა. (მიდიან).
 (ფარდა).

ს თ ი წ ე ლ ი

წელს მეთავერ ვდღესასწაულობთ ოქტომბრის დღი რევოლუციის გამარჯვების დღეს.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მუშებმა და გლეხებმა თავის რკინისებურ ხელში აიღეს ძალა-უფლება და შეუდრეკელ მუშაობას ეწევიან ოქტომბრის მონაპოვართა განმტკიცებისა და ახალი საზოგადოების შექმნისათვის.

როგორ მოხდა ყოველივე ეს, როგორ ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება მშრომელმა ხალხმა?

1914 წელს დაიწყო მსოფლიო ომი. ომი დაიწყეს სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტებმა იმისათვის, რომ იმ სახელმწიფოს, რომელიც გამარჯვებდა, შესაძლებლობა მისცემოდა დაემონავებია და გაეყვლიფა დამარცხებული ქვეყნების მშრომელი ხალხი.

ასეთივე მტაცებლური მიზნები ჰქონდათ დასახული რუსეთის ბურჟუაზიას და თვითმპყრობელობას, და ამიტომ მათაც მიიღეს მონაწილეობა კაპიტალისტური სახელმწიფოების ამ ფერხულში და გვერდში ამოუდგენ, როგორც მოკავშირენი, ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებს.

სისხლისაგან დაკლილი ქვეყნის ცარცვა-გლეჯა სამი წელიწადი გრძელდებოდა. ომით და სიმშლით დატანჯულმა მშრომელმა მასეგმა ასეთ უსირცხვილო თავხედობას ვეღარ გაუძღეს, მოთმინების ფილა აივსო, და რუსეთის შავ ცაზე დიდი რევოლუციის ცისკრის სხივები აღმობრწყინდა. ეს მოხდა 27 თებერვალს.

რევოლუციის სათავეში ბურჟუაზია მოექცა. ის შეიქნა ხელისუფლების ბატონ-პატრონი. ამ საქმეში მას მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერებიც უწყობდნენ ხელს, ისინი ამტკიცებდნენ, რომ „ეს რევოლუცია ბურჟუაზიულია და ამიტომ უბურჟუაზიოდ მთავრობა არ შეიძლება“. ამ მიმდინარეობამ ნიადაგი მოიპოვა წვრილ-ბურჟუაზიულ წრეებში, პოლიტიკურად მერყევ გლეხობაში და მუშებში.

ძალა-უფლების მქონეთა და მუშებისა და გლეხების მოთხოვნილებათა შორის კლასობრივ წინააღმდეგობათა ღრმა უფსკრული იყო. ბურჟუაზიის და მემამულეების წარმომადგენლებს—როძინაკო—მილიუკოვებს და კონოვლოვებს, რომლებმაც თავიანთი ტანსაცმელები ნაჩქარევად შეღებეს რესპუბლიკის ფერით, რესპუბლიკა და მისი თანამგრძობნი სძადათ. ჩაიგდეს რა ხელში ძალა-უფლება, ისინი მონარქიაზე ოცნებობდნენ, ისეთ მონარქიაზე, რო-


მელიც ბურჟუაზიის ბატონობას უზრუნველყოფდა. რევოლუციის შემდგომ განვითარებას ისინი ანარქიად სთვლიდნენ. ასეთი ხელისუფლება, რასაკვირველია, მუშების და გლეხების ნებისყოფას ვერ გამოხატავდა. ამ ხელისუფლებას ვერ დაერქმეოდა ხალხური ხელისუფლება; ძველი წესწყობილების მსგავსად—ახალ ხელისუფლებასა და მშრომელ ხალხს არ ესმოდათ ერთმანეთის.



წითელგვარდიელების იერიშები ზამთრის სასახლეზე. აქ იყო გამაგრებული უკანასკნელად ბურჟუაზიული მთავრობა.

1917 წ. ზაფხულამდე გაბატონებული პარტიები იყვნენ მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები. მათ ხელში იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, ისინი შედიოდნენ დროებითი მთავრობის შემადგენლობაში; ისინივე ხელმძღვანელობდნენ სამხედრო კომიტეტებს ჯარში. ყოველივე ეს მათ საშუალებას აძლევდა, თუკი ისურვებდნენ, მოეშორებიათ ბურჟუაზიის ბატონობა და თვით აეღოთ ხელში ხელისუფლება. შემთანხმებელ პარტიებს ეს არაფრის გულისათვის არ უნდოდათ, რადგანაც ფიქრობდნენ, 1917 წლის რევოლუცია ბურჟუაზიულია, და ამიტომ ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია უნდა იდგესო. პროლეტარული რევოლუციისათვის დრო,—ამბობდნენ ისინი,—ჯერ კიდევ არ დამდგარაო.

ბოლშევიკები კი საქმეს სულ სხვაგვარად უყურებდნენ. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მუშათა და გლეხთა ინტერესების ბურჟუაზიის ინტერესებთან შეთანხმება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; ამიტომ ყოველ მთავრობას შეეძლო დაცვა ან ერთის, ან მეორე კლასის ინტერესებისა. მენშევიკებსა და სოც.-რევოლ., რომლებიც



ამხ. მამია ორახელაშვილი.

ისხდენ მთავრობაში, გულითაც რომ მოესურვებიათ მშრომელთა სასარგებლოდ მუშაობა, ამას ისინი მიინცვერ შესძლებდნენ, რადგანაც მათ წინააღმდეგობას გაუწევდა მთავრობის ბურჟუაზიული ნაწილი.

ბურჟუაზიული მთავრობის და მენშევიკ-სოც.რევოლუციონერთა მოღვაწეობამ თანდათანობით გამოაფხიზლა მუშათა და გლეხთა მასები. მათთვის ნათელი იყო, რომ კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან რაიმე სიკეთის მოლოდინი უაზრობა იყო. საჭირო გახდა თვითონ ებრუნნათ თავიანთი ინტერესებისთვის...

მუშათა და ჯარისკაცთა მასებმა, გასწყვიტეს რა კავშირი შემთანხმებლებთან, გადაწყვეტი ბრძოლა დაიწყეს საბჭოებისათვის ძალა-უფლების გადასაცემად.

„ძალა-უფლება საბჭოებს“, „ზავი და თავისუფლება!“ — აი ის ლოზუნგები, რომლებითაც გამოდიოდნენ მუშები, გლეხები და ჯარისკაცები ბოლშევიკების წითელი დროშის ქვეშ.

საბჭოების ძალა-უფლებისთვის ბრძოლა მორიგ და გადაუდებელ ამოცანად გახდა, მუშები და ჯარისკაცები, რომლებმაც პარტში ჩამოაგდეს მეფე, კაპიტალისტების და მემამულეების დასამხოებად ემზადებოდნენ...

ითვალისწინებდა რა მშრომელი ხალხის მისიურ მოთხოვნას, რომ ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადასულიყო, და იმ ძლიერ ძალას, რომელიც მიჰყვებოდა ბოლშევიკურ პარტიას მუშების და ჯარისკაცების სახით, — ბოლშევიკური პარტია და ამხ. ლენინი უკვე სექტემბერში პირველ რიგში აყენებდნენ საკითხს შეიარაღებული აჯანყების მოწყობის და ძალა-უფლების დაპყრობის შესახებ. წინათ, როდესაც მუშათა და ჯარისკაცთა მასები ჯერ კიდევ მიჰყვებოდნენ შემთანხმებლებს, „ძალა-უფლების დაპყრობა“ მხოლოდ აგიტაციის და პროპაგანდის საკით-

ხი იყო, ახლა კი, როდესაც მთელი მშრომელი მასა შემოიკრიბა ბოლშევიკების ირგვლივ, „ძალა-უფლების დაპყრობა“ მოქმედების მორიგი ამოცანა და საკითხი შეიქნა.

ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამხ. ლენინი, ის სწვრდა წერილების მთელ რიგს (ამ ხანებში ამხ. ლენინი ემალებოდა კერენსკის ჟანდარმებს) ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და პეტროგრადის და მოსკოვის პარტიულ კომიტეტებს.

ც. კ. გაგზავნილ წერილში ლენინი მიუთითებს, რომ უკვე მზადაა ყოველგვარი პირობები აჯანყების წარმატებით მოსაწყობად. ამიტომ ეს ხანა არის ყველაზე უფრო შესაფერისი ძალა-უფლების დასაპყრობად, შემდგომ კი შეიძლება რევოლუციონური ტალღები შესუსტდეს და მაშინ გამოსვლებიც დაგვიანებული და უნაყოფო იქნებაო.

შემდეგ ამხ. ლენინი მიუთითებდა: საერთაშორისო მდგომარეობაც გვიწყობს ხელს, რომ რევოლუციონერმა პროლეტარიატმა აუცილებლად დაიპყროს ძალა-უფლებაო.

10 ოქტომბერს აჯანყების საკითხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ისმება, სადაც გამოაქვთ რეზოლუცია, რომელიც ცნობდა, რომ როგორც გარეშე, ისე შინაური მდგომარეობა „დღის წესრიგში აყენებს შეიარაღებულ აჯანყებას“.

ასე ემზადებოდა ჩვენი პარტია ბურჟუაზიული მთავრობის ჩამოსაგდებად და მუშათა კლასის დიქტატურის დასამყარებლად.

ოქტომბრის დასასრულს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. გერმანიის ჯარები უახლოვდებოდნენ პეტერბურგს. ჯარის სარდალმა მოითხოვა პეტერბურგიდან რევოლუციონური რაზმების გაყვანა გერმანელების წინააღმდეგ. რევოლუციონური ჯარი რომ არ იქნებოდა, ბურჟუაზიულ-მონარქიულ კონტრ-რევოლუციას შედარებით უფრო ადვილად შეეძლო დაემარცხებია რევოლუციონერ მუშათა რაზმები და დაემყარებია ბურჟუაზიის სრული ბატონობა.

დაყოვნება ერთი წუთითაც აღარ შეიძლებოდა...

20 ოქტომბერს პეტროგრადის საბჭოს აღმასკომთან, რომელიც მაშინ უკვე სრულიად ბოლშევიკური იყო, **სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტი არსდება.**

ის დაარსებულ იქნა წინააღმდეგ მთავრობის სამხედრო შტაბისა, და მისი ამოცანა იყო რევოლუციის დაცვა და აჯანყების მოწყობა.

პეტროგრადის საბჭო და სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტი განუწყვეტლივ იძლევა განკარგულებებს. სმოლნი ხდება აჯანყების ცენტრი.

რევოლუციის შტაბი დღე-ღამე მუშაობს. 25 ოქტომბერს დილით ალყა შემოარტყეს ზამთრის სასახლეს, სადაც ჯერ კიდევ გამაგრებული იყო დროებითი მთავრობა. საღამოთი ის უკვე აღებულ იქნა.

ოქტომბრის გადატრიალება ფაქტი შეიქნა. რუსეთი გახდა მუშურ-გლეხური საბჭოთა ქვეყანა.

მეორე დღეს, 26 ოქტომბერს, გამარჯვების შემდეგ, მუშათა და გლეხთა მასების ბედ-იღბლის გადამწყვეტმა სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-II ყრილობამ მიიღო მთელი რიგი შესანიშნავ გადაწყვეტილებათა.



ასე დამყარდა ქვეყნიერების მეექვსედ ნაწილზე მუშათა ძალა-უფლება, ასე შესდგა მუშათა და გლეხთა პირველი მთავრობა.

მოსკოვში ბრძოლა საბჭოებისთვის მთელ კვირას გრძელდებოდა.


მხოლოდ 2 ნოემბერს კონტრ-რევოლუციონური ძალები საბოლოოდ იქნა განადგურებული და ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადავიდა.

სხვა ქალაქებში ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადავიდა თითქმის უბრძოლველად.

ფრონტიც ერთბაშად რევოლუციონური ხელისუფლების მხარეზე გადავიდა.


საბჭოთა ხელისუფლების ერთი უპირველესი ამოცანა იყო ომის შეწყვეტა. 7 ნოემბერს სახალხო კომისართა საბჭომ მიმართა მებრძოლ მხარეებს წინადადებით ზავის ჩამოგდებას შესახებ. გერმანია და ავსტრია დათანხმდნენ დაეწყათ მოლაპარაკება ზავის შესახებ საბჭოთა ხელისუფლებასთან.

22 ნოემბერს სამხედრო მოქმედება შეწყვეტილ იქნა. 9 დეკემბერს დაიწყო საზავო მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკში. ზავის ის პირობები, რომელიც რუსეთს წამოუყენეს, მეტად მძიმე იყო, მაგრამ ომის განგრძობაც შეუძლებელი იყო. საბჭოთა ხელისუფლებას ესაჭიროებოდა შესვენება, რომ ამ დროის განმავლობაში დაემარცხებია კონტრ-რევოლუცია, მაგრამ ბრძოლა კონტრ-რევოლუციასთან დიდხანს გაგრძელდა.



ამხ. ვ ფრუნზე

შესძლო მასზე გაცილებით უკეთეს პირობებში მყოფი და შეიარაღებული მტრების დამარცხება. მხოლოდ 1920 წელს დასრულდა ბრძოლა სამხედრო ფრონტზე. მისი დასრულების შემდეგ დაიწყო მშვიდობიანი აღმშენებლობა და რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცება.



წითელგვარდიელები სმოლნში.

სარგებლობდნენ რა უცხოეთის კაპიტალისტების დახმარებით, კონტრ-რევოლუციონერები აწყობდნენ აჯანყებებს რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში. თეთრგვარდიელების მოქმედების მთავარი ადგილი იყო დონი, საიდანაც დაიწყო მოქმედება გენერალმა დენიკინმა, რომელიც ფიქრობდა მოსკოვის ხელში ჩაგდებას და რუსეთში კიდევ მონარქიის შემოღებას. ციმბირიდან მოდიოდა ადმირალი კოლჩაკი, ჩრდილოეთიდან — გენერალი იუდენიჩი, მაგრამ მუშათა და გლეხთა მთავრობამ შექმნა ძლიერი და უძლეველი წითელი არმია, რომელმაც, მიუხედავად ცუდი შეიარაღებისა და მძიმე პირობებში ყოფნისა, მაინც

რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ ბავშვებს?

ამ პატარა საუბარმა ნათლად დაგვანახვა, რომ მუშებმა და გლეხებმა, აიღეს რა ძალა-უფლება ხელში, გადასწყვიტეს მთელი რიგი თვალსაჩინო საკითხებისა:

მათ მოსპეს ბურჟუაზიის ძალა-უფლება — თვითონ შეუდგნენ სახალხო მეურნეობის აღმშენებლობას.

დააარსეს ახალი რევოლუციონური სახელმწიფო; დადგნენ კონუნინისათვის ბრძოლის გზაზე.

რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ მუშათა და გლეხთა ყველა ბავშვებს?

უპირველეს ყოვლისა — უფლება, რომ თავისუფლად მოაწყონ თავისი საბავშო ორგანიზაციები, რაც არ იყო მსოფლიოში. არც ერთ ქვეყანაში; „თავისუფალ“ ამერიკაშიც კი სდევნიან მუშათა შვილების ორგანიზაციებს.

გარდა ამისა, ოქტომბრის რევოლუციამ მოგვცა ჩვენ ახალი შრომის სკოლა, სადაც „კაზიონშინის“ ნაცვლად გაიფედა მასწავლებლების და ბავშვების თვითშემოქმედება, ბავშვები იძენენ ყოველივე საჭირო ცოდნას, რაც დღემდე მიუწოდებელი იყო მუშებისა და გლეხებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო ბავშვების დაჩაგვრას. მან ხელიდან გამოისტაცა მცირეწლოვანი ბავშვები ფაბრიკა-ქარხნებს და ბოზოლა „ხაზიენებს“, დააარსა მათთვის სპეციალური პროფესიონალური სკოლები — საქარხნო-საფაბრიკო სკოლები.



ოქტომბრის რევოლუციამ ფართოდ დააყენა ბავშთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხი.

პროლეტარულ სახელმწიფოში ბავშვზე, მისი დაბადებიდან დაწყებული, ზრუნავს არა მარტო ოჯახი, არამედ თვით სახელმწიფოც. ამისათვის დაარსებულია კონსულტაციები (სპეციალისტი ექიმების თათბირი რომელიმე ავადმყოფობის გამოსარკვევად), საბავშვო სახლები და კომუნები.

ამიტომ ყველა ჩვენგანის ამოცანას უნდა შეადგენდეს ოქტომბრის მონაპოვართა განმტკიცება.

ათმა წელმა გაიარა ამ რევოლუციის შემდეგ. 7 ნოემბერს (25 ოქტომბერს ძველი სტილით) ჩვენ ვდღესასწაულობთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავს. მრავალ დაბრკოლებას და შიმშილთან ბრძოლას

თავი დავახწიეთ ილიჩის ნაანდერძევი გზის საშუალებით და მისივე ანდერძით მივდივართ წინ.

არ ვივიწყებთ რა იმ მსხვერპლს, რომელიც ჩვენმა მამებმა და ძმებმა გაიღეს თავისუფლების მოსაპოვებლად. ჩვენ ყოველივე ძალ-ღონით უნდა გავამაგროთ და ავაყვაოთ საბჭოთა რესპუბლიკა, რითაც ამავე დროს ჩვენ გავამტკიცებთ მსოფლიო რევოლუციის საქმეს— ჩვენი ძმების გამარჯვების საქმეს დასავლეთში.

ჩვენი მამების შეცვლა, პროლეტარული რევოლუციის მეტრძოლთა ღირსეულ მემკვიდრეებად გახდომა— აი მიზანი და ამოცანა მთელი ჩვენი მუშაობისა და ცხოვრებისა, ამისათვის კი ჩვენ ყოველთვის და ყოველგან უნდა ვიხსავლოთ, ვიხსავლოთ და ვიხსავლოთ.

შანი

საქ. პიონერთა ორგანიზაციის 5 წლის თავი.

საქართველოში ბავშთა კომორგანიზაციების წარმოშობამდე არსებობდა ნაციონალისტური ორგანიზაციები— „შევარდენი“ და „სკაუტი“, რომელთაც ხელმძღვანელობდა მენშევიკური საქართველო, მაგრამ გასაბჭოების შემდეგაც კიდევ განაგრძობდნენ ეს ორგანიზაციები არსებობას.

ყველასათვის აშკარაა, „შევარდენის“ და „სკაუტის“ ორგანიზაციებში უმთავრესად ვინ იყრიდა თავს: ვაჭრის, მრეწველის და სხვა შეძლებულთა შვილები. მენშევიკური მთავრობის მიერ იმდენად მოწამლული იყვნენ ეს ორგანიზაციები, რომ სხვა ეროვნების ბავშვებს არ იღებდნენ ორგანიზაციაში. რა თქმა უნდა, ასეთი ორგანიზაცია არ იყო პროლეტარული ბავშვების ინტერესების გამოხატველი და ბაღე უნდა მომხდარიყო ამ ორგანიზაციის დაშლა. მართლაც, 1922 წლიდან უკვე შევეუდექით „შევარდენის“ და „სკაუტის“ ორგანიზაციების დაშლას და მათ ადგილზე დავაარსეთ ღარიბი გლეხისა და მუშის შვილების ორგანიზაცია „სპარტაკი“. „სპარტაკი“ მიზნად ისახავდა ყველა დაჩაგრული ბავშვის მიზიდვას თავის რიგებში, მასთან ჩვენ ყველას ვღებულობდით: ქართველს, რუსს, სომეხს, თათარს და სხვებს. რა თქმა უნდა, საქართველოს მშრომელ ბავშვებს უყვართ თავისი მოძმე რუსის, სომხის, თათრის და სხვა ეროვნების მშრომელი ბავშობა და სწორედ ეს არის ბავშთა პროლეტარულ-ინტერნაციონალური აღზრდა.

„სპარტაკის“ არსებობის დროს ჩვენ ბევრი ნაკლოვანება გვქონდა: მთავარი ყურადღება ექცეოდა ვარჯიშობას და ბავშვები არ ეცნობოდნენ თავიანთი მამების რევოლუციონურ წარსულს და სოციალური აღზრდის საქმე ცუდად იყო დაყენებული.

პროლეტარული ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი „სპარტაკის“ გარეშე იყო. მთავარ მიხწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ „სპარტაკმა“ „შევარდენისა“ და „სკაუტის“ ორგანიზაციების დროს დათესილი ნაციონალისტური ჩაგვრა მოსპო და ყველა იმდროინდელი ბავშობა შეაკავშირა თავის რიგებში. ეს იყო 1922-23 წლებში.

შემდეგ ამ ორგანიზაციამ შეიცვალა თავისი სახელწოდება და შინაარსიც და დაარსდა აშხ. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია.

ეს მოხდა 1924 წელს. ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია იმ მიზნებს ემსახურება, რასაც ემსახურებოდა „სპარტაკის“ ორგანიზაცია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პიონერთა ორგანიზაციის უფრო დიდი ამოცანები აქვს დასახული. ის არის თანაშემწე ლენინური კომკავშირის და მისი ხელმძღვანელობით მუშაობს. ეს ორგანიზაცია აქტიურად არის ჩაბმული საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში (საბჭო, ქონ-სამკითხველო, სკოლა და სხვა ასეთი ორგანიზაცია).

რა გააკეთა პიონერთა ორგანიზაციამ 1924 წლიდან დღემდე? დააარსა კოლექტივები ყველა ქალაქსა და სოფელში, შეაკავშირა ღარიბი გლეხისა და მუშის შვილების დიდი უმრავლესობა, თავის მშობლებს და უფროს ამხანაგებს გააცნო თავისი ორგანიზაციის მნიშვნელობა, წერა-კითხვის უცოდინარ ბავშვებს შეასწავლა წერა-კითხვა, სკოლაში ხელმძღვანელობს ბავშთა ჩაბმას კულტურულ მუშაობაში და აქვს გავლენა მოწაფეებში, აქვს თავისი საკუთარი კედლის გაზეთი, ყურნალი „პიონერი“, რომელსაც პიონერები იწერენ და ავრცელებენ შეუკავშირებელ ბავშვებში, ეხმარებიან სოფლის სა-



ბჭოებს, გლეხკომებს, ქოხ-სამკითხველოში მუშაობენ, აწყობენ ექსკურსიებს, მართავენ საუბრებს სხვადასხვა საკითხზე და სხვა მთელ რიგ საკითხებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

დღეს საქართველოს პიონერთა ორგანიზაციაში 70,000 ბავში ირიცხება. აი რას მიახწია 5 წლის თავზე პიონერთა ორგანიზაციამ.

საქ. პიონერთა ორგანიზაციის ხუთი წლის არსებობის იუბილენი ტარდება 1927 წლის 23 ნოემბერს. იუბილენის მთავარი დანიშნულებაა მშრომელებს გავაცნოთ ჩვენი მიხწევები და ნაკლი და დავისახოთ ახალი ამოცანები ჩვენს მუშაობაში.

პიონერთა კოლექტივების წინაშე დიდი ამოცანები სდგას იუბილენის ღირსეულად ჩასატარებლად. ყველა კოლექტივმა უნდა მიიღოს მონაწილეობა იუბილენში. მშრომელთა ბავშვებს კოლექტივის კრებებზე უნდა გავაცნოთ პიონერთა ორგანიზაციის ისტორია და მნიშვნელობა, პარტიის და კომკავშირის კრებებზე უნდა ჩატარდეს მოხსენებები.

ბი. ყველა ადგილობრივ გაზეთში უნდა დაიწეროს წერილები ადგილობრივი კოლექტივების დაარსებიდან დღემდის წარმოებულო მუშაობის შესახებ, უნდა გავაძლიეროთ გასამხედროების საქმეში პიონერთა მონაწილეობა, მუშის და ლარაბი გლეხის შვილები უნდა შევაკავშიროთ პიონერთა კოლექტივებში, უნდა მოეწყოს საუბრები ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე და პიონერთა კოლექტივები უნდა ეცნობოდნენ საბჭოთა კავშირის შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობას; უნდა გაძლიერდეს ინტერნაციონალური აღმზრდელი მუშაობა, კოლექტივები უნდა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ეცნობოდნენ სხვა ქვეყნის პიონერთა ცხოვრებას.

აი რა უდიდესი ამოცანების წინაშე სდგას პიონერთა ორგანიზაცია თავისი არსებობის 5 წლის თავზე.

ა. გუნიავა.

წითელ ფლოტზე კომკავშირის 5 წლის თავი

კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღების ზრდა ნათლად მოწმობს იმას, რომ იმპერიალისტები შეუჩერებლად ემზადებიან ახალი ომისათვის. ომის საშიშროება, რომელიც მიმართულ იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ყოველდღე იზრდება. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხი პირველ უდიდეს ამოცანად დგება ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოსა და თითოეული მუშისა და გლეხის წინაშე.

წითელ ფლოტზე კომკავშირის შეფობის ხუთი წლის თავის ჩატარების დროს კომკავშირელების, მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის, პიონერების და მთელი მშრომელი მასების ყურადღება საბჭოთა კავშირის თავდაცვის საკითხებს და წითელი არმიის ძლიერების ზრდას უნდა მიექცეს. საბჭოთა კავშირის საფრთხე დღეს მეტად ემუქრება ზღვიდან. წითელი ფლოტი მზად უნდა იყოს ამ მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერებლად. ამისათვის ჩვენმა ქვეყანამ, ყოველმა ჩვენგანმა ყოველგვარი საშუალება უნდა იხმაროს წითელი ფლოტის გასამხედროებლად და განსავითარებლად.

საბჭოთა კავშირის 39.000 კილომეტრის საზღვაო საზღვრები აქვს; ამ საზღვაო საზღვრების მტრისაგან დაცვაში წითელ ფლოტმა მთავარი როლი უნდა ითამაშოს.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ წითელი ფლოტი საგრძნობლად გაძლიერდა და ჩვენი მტრებისათვის საშიშ ძალად შეიქნა. სამოქალაქო ომის შემდეგ წითელი ფლოტის შენება შეიძლება დაიყოს სამ პერიოდად: პირველ პერიოდში (1921 და 1922 წ. წ.) პირადი შემადგენლობა გაიწმინდა არასამხედრო და უვარგისი ელემენტებიდან და შეიქმნა პარტიული და კომკავშირული ახალგაზრდობით; ამავე პერიოდში მოხდა სამხედრო-საზღვაო სკოლების მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, სამხედრო-საზღვაო იარაღების შექნა, გემების შეკეთების დაწყება და სხვ. მეორე პერიოდი იწყება კომკავშირის მიერ შეფობის აღებიდან (1922 წ. ოქტომბრიდან). ამ პერიოდის დამახასიათებელია ქვეყნის მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით ფლოტის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება და ნავსადგურების ნორმალურ მდგომარეობაში ჩაყენება, სწავლის გადატანა ზღვაზე (კურვა, მანევრები), რამაც ფლოტის ახალ (პიონერულ-კომკავშირულ) შემადგენლობას სამხედრო-საზღვაო პრაქტიკის მიღების საშუალება მისცა. წითელი ფლოტის განვითარების მესამე პერიოდის დასაწყისად ითვლება 1923 წლის შემოდგომა. ამჟამად სპეციალური სამხედრო-საზღვაო და კულტურულ-პოლიტიკური სამზადისი დიდი წარმატებით მიმდინარეობს. პირა-



დი შემადგენლობა ნახევრად მუშურია—კულტურულად მომზადებული და პოლიტიკურად ჯანსაღი, წითელი ფლოტის შემადგენლობის 50% კომკავშირელებია. წითელი ფლოტის ბრძოლის უნარიანობა სავსებით უდავოა. ხუთი წლის შეფობის თავზე კომკავშირის თვითეულმა ორგანიზაციამ, „ოსოავიაქიმის“ ორგანიზაციამ, პროფკავშირებმა და ქოხ-სამკითხველოებმა ფლოტის საქმიანობის გაცნობასთან ერთად უნდა გაუკეთონ ჯამი მუშაობას.

კომკავშირის შეფობის 5 წლის თავის დღესასწაული უნდა გახდეს იმ ფაქტად, რომელიც მომავალში, ერთი მხრით, გააძლიერებს კომკავშირის ორგანიზაციების საშეფო მუშაობას და, მეორეს

მხრით, გააუმჯობესებს ფლოტის ნივთიერი დაზარების საქმეს. კომკავშირის, პიონერ-ორგანიზაციის და ყველა მშრომელის ყურადღება წითელი ფლოტის მოთხოვნილებაზე და მის ამოცანებზე უნდა იყოს მიპყრობილი. ყოველდღიური აქტიური მონაწილეობა საბჭოთა საზღვაო თავდაცვის მშენებლობის საქმეში შექმნის საზღვაო ნაპირების საიმედო დაუძღვეველ გუშაგს.

მთელი ჩვენი გულისყური და რეალური დახმარება წითელ ფლოტს! ნუ დაგვაფიწყდება, რომ წითელი ფლოტი ს. ს. რ. კ. ფიზიკელი გუშაგია!

ი. კ—ე.

პიონერ-ორგანიზაციის უაღრესედა დანიშნუ.

ლენინის სახელობის საბავშო სახლის კოლექტივის მუშაობა.

(ბორჩალოს მაზრა)

კოლექტივში ირიცხება 42 პიონერი, რომელთაგანაც 8 ქალია და 34 ვაჟი. 1927 წლის განმავლობაში კოლექტივის მიერ გამოშვებულია 13 კედლის გაზეთი: ყოველთვიური მორიგი ნომრები და სხვადასხვა რევოლუციონურ დღესასწაულთა გამო.

სამწუხაროდ, საბავშო სახლს არა აქვს კლუბი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ წლის განმავლობაში ჩვენს მიერ დადგმულია 9 წარმოდგენა.

კონკრეტულ ამოცანათა დასახვის მეთოდით ბორჩალოს კომკავშირის სამაზრო კომიტეტის და ბ. კ. ორგანიზაციის მიერ ჩატარებულია შემდეგი კამპანიები:

ოქტომბრის რევოლუციის, თებერვლის, პირველი მაისის დღესასწაული, ლენინის გარდაცვალების დღე, ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, ავიაქიმის დღე და სხვა.

კონკრეტულ ამოცანათა დასახვის მეთოდი.

ასეთ ამოცანათა შესრულება შემდეგნაირად ხდებოდა: წინასწარ ვიღებდით ცირკულიარსა და გვემას, რასაც საერთო კრებაზე ვკითხულობდით და ვარჩევდით. მაშინ კი, როდესაც შევადგენდით საკუთარ გვემას, ვინაწილებდით მუშაობას და მზადებაც იწყებოდა.

დრამატიული სექცია ამზადებდა შესაფერ პიესას, ფიზკულტურელები ამზადებდნენ სხვადასხვა ვარჯიშობას, სარედაქციო კოლეგია მუშაობას ჯამს უკეთებდა და საზეიმო დღეს უშვებდა გაზეთს.

სექციათა მუშაობა.

დრამატიული სექციის გარდა გვეყავს კიდევ სამეურნეო, საბიბლიოთეკო და სხვა კომისიები. უკანასკნელ ხანებში კოლექტივი თვითმოვლის წესზე გადავიდა, მაგალითად, მუშაობა სამზარეულოში (სადილს ბავშვები აკე-

თებენ რიგ-რიგობით). მათ მიერვე ლავდება შენობა და ეზო. ბავშვთა ნაწილი ჩაბმულია საღურგლო სახელოსნოში, ნაწილი სამკერვალოში.

ფიზკულტურა.

დილით და საღამოთი პიონერები ცალკე რგოლებად ეწყობიან და აკეთებენ თავისუფალ ვარჯიშს, აწყობენ თამაშობებს. კვირაში ორჯერ კი ბ. კ. ორგანიზაციიდან მომავრებული წინამძღოლი აწყობს საერთო გავარჯიშებას.

გართობა და ჰიგიენა.

მეცადინეობათა შორის დასვენების საათებში პიონერები აღმზრდელის ხელმძღვანელობით მიდიან ექსკურსიებზე, სადაც მათ უკითხავენ რევოლუციონური შინაარსის მოთხრობებს, ისინი მღერაიან, თამაშობენ, მხიარულობენ. თვეში ორჯერ მიდიან აბანოში.

კოლექტივის საზაფხულო მუშაობა ბანაკში უოფნის დროს.

კოლექტივის კავშირი მოსახლეობასთან

ბაშკიჩეტში საბავშო სახლის კოლექტივის დაარსებამ გლეხობაში განცვიფრება გამოიწვია. გლეხთა ბავშვებს უკვირდათ და ჩვენებს უნდობლად ეპყრობოდნენ. ჩვენმა პიონერებმა დაიწყეს გამართვა ფერხულისა, თამაშობების, სიმღერების და ეპატეებოდნენ დუხაბორელთა ბავშვებსაც. რამოდენიმე ხნის შემდეგ სოფლის ბავშვები თვითონ მოდიოდნენ საბავშო სახლის ბანაკში და მოითხოვდნენ საერთო თამაშობებს, ვარჯიშობას. შემდეგ მათ გადაიღეს და შეისწავლეს პიონერული სიმღერები.

ხშირად პიონერები თავს უყრიდნენ ბავშვებს და უაზობოდნენ სხვადასხვა რამეებს საბავშო სახლის ცხოვრებიდან.



გლებები უკვირდებოდენ ბავშთა სახლის ცხოვრებას, ბოლოს კი გვთხოვეს ორი უპატრონო ბავშვის მიღება.

ყანებში მუშაობის დროს პიონერები მიდიოდენ ქერივ-ობლებთან და უფასოდ ეხმარებოდენ მუშაობაში.

ერთ სოფელზე გავლის დროს ჩვენ შევნიშნეთ, რომ ბოსტანში ბალახს დაეთარა მოსავალი და ბოსტნეულობა შეეწუხებია.

იმავე საღამოს სოფელში ვიყავით და გადავწყვიტეთ წავსულიყავით და ბოსტანი წესრიგში მოგვეყვანა, რაც მეორე დღესვე ავასრულეთ მთელი კოლექტივის შემწეობით.

ამის შემდეგ მოდიოდენ გლებები და გვთხოვდენ ბავშვები დაგვეხმარებია ბოსტნეულობის აკრეფაში.

ერთხელ ხანძარი გაჩნდა. იწვოდა პურის ზვინი. პირველად ეს შენიშნეს ჩვენმა პიონერებმა და ასტყეხეს ხმაური. ზოგი ქვებით, ზოგი კასრით გაიქცა წყლის მოსატანად და ცეცხლის ჩასაქრობად. მალე უფროსებმაც მოგვისწერეს და ცეცხლი ჩაქრობილ იქნა.

დიდ აღტაცებას იწვევდა გლებებში, სოფლებზე გავლის დროს, როდესაც ხედავდენ, რომ ბავშვები მხნედ, თამამად მიემართებოდენ ხოლმე დროშებითა და დოლის დაკვრით, სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილნი. ისინი გამოვრბოდენ სახლებიდან და სახემოლიმარნი უტკეპოდენ.

ბავშვებს გაჩერების დროს ეკითხებოდენ მათ ცხოვრების შესახებ.

კოლექტივმა მოაწყო ქობ-სამკითხველოს სრული გადასინჯვა წინასწარ შედგენილ შეკითხვათა ფურცლის მიხედვით.

მოწყობილ იქნა სამი დიდი ექსკურსია აღმასკომის ფერმებში რძის ნაწარმოების და შეფუტკრეობის გასაცნობად.

თითოეული ექსკურსიის წინ ვადგენდით გეგმას, შეკითხვათა ფურცელს და ვირჩევდით სამეურნეო და ადმინისტრატიულ კომისიებს. ზაფხულის განმავლობაში გამოშვებული იყო სამი კედლის გაზეთი. გაიმართა ორი წარმოდგენა: ერთი ჩინეთის კომკავშირის სასარგებლოდ და მეორე ავიაქიმის.

ვიწერთ 6 პერიოდულ გამოცემას. სამ გაზეთს და სამ ჟურნალს—სომხურ, თურქულ და რუსულ ენებზე.

გვაქვს საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელსაც პიონერები განავებენ.

სოფელ ბაშკინეტის გლებები მეტად კმაყოფილი დარჩენ საბავშვო სახლის ბავშთა ყოფა-ქცევით, თვით ბავშვებმა კი ალუთქვეს მიწერ-მოწერის გამართვა იმათ სოფელთან. გარდა ამ კავშირისა, დამყარებულია კავშირი აგრეთვე ერევნის პიონერ ორგანიზაციებთანაც.

პიონერი ნ. ს.

ჩვენი კოლექტივის მიხედვანი.

ს. I ხორგა (ზუგდიდის მაზრა)

I ხორგაში 1925 წლიდან არსებობს ნორჩ-პიონერთა კოლექტივი, რომელიც ძალიან სუსტად მუშაობდა და ვერ იყო გარკვეული იმაში, თუ რა შეადგენდა მის მიზანს. ამიტომ ვერ ასრულებდა ის დავალებებს თავის დროზე. მაგრამ ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლამ, აგრეთვე ცენტრის სათანადო ხელმძღვანელობამ და ახალი გზით მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ერთი მხრივ მან გაააქტიურა პიონერები, ხოლო მეორეს მხრივ გაიზარდა კოლექტივის რაობა და მისი მნიშვნელობა პიონერთა მშობლების და მთელი მოსახლეობის თვალში. თუ აგრეთვე პიონერები არ ეკიდებოდენ სათანადო ხალისით კოლექტივში მუშაობას და კოლექტივში სიარულს ქუჩაში ხეტიალი ერჩივნათ, დღეს არათუ დანიშნულ დროს, არამედ სხვა დროსაც მზად არიან შეიკრიბონ და აწარმოონ როგორც სხვადასხვა თამაშობანი, ისე თავისუფალი ვარჯიშობანი, თუგინდ ხელმძღვანელის გარეშეც. კოლექტივში მასიური თამაშობის გამართვამ მიიზიდა შეუკავში-

რებელი ბავშვებიც და არათუ პიონერები, ქუჩის შეუკავშირებელი ბავშვებიც კი გადააჩვია ქუჩაში ხეტიალს.

რგოლებში დავალებითი მეთოდებით მუშაობის წარმოებამ გაზარდა პიონერთა თვითაქტივობა, გაზარდა მათი დაინტერესებანი, რის გამოც ისინი დღეს განსაკუთრებული ხალი'ით ეკიდებიან საქმეს. პიონერთა პრაქტიკული დილების გამართვამ ძლიერ გაათამაშა ბავშვები; სხვადასხვა კოლექტივებთან კავშირის დაჭერით განმტკიცდა ინტერნაციონალური აღზრდის საქმე.

ასეთი გეგმიანი და ახალი გზით მუშაობის შედეგია ის, რომ თუ უწინ პიონერები გაუბრდოდენ კოლექტივს, ახლა ისინი შეუკავშირებელ ბავშვებთან არიან ჩაბმულნი საქმიანობაში; გარდა ამისა, ამგვარი მუშაობის შედეგია ის, რომ ბევრი შეუკავშირებელი ბავშვი ჩაითრია კოლექტივმა თავის რიგებში და დარაზმა საერთო საქმისათვის.

ალ. მირცხულავა.

შთაბეჭდილება გუჯაუში

კვირას, 1 ოქტომბერს, მე შევედი საქართველოს რევოლუციონურ მუზეუმში. შევედი და განცვიფრებული დავჩნდი რევოლუციის აუარებელი მსხვერპლის სურათებით, აგრეთვე იმით, თუ როგორ იბრძოდენ ჩვენი წინაპრები და უფროსები თავისუფლებისათვის რევოლუცია მომხდარა და სწორედ საოცარი გარდაქმნა მოუხდენიათ კომუნისტებს. ფრიად შემადრწუნებელი სურათია ბაქოს 26 კომუნარის დახვრეტა. კარგია სხვა ორი სურათიც:

ოქტომბრის დღეებში ბრძოლა და თებერვლის დღეებში ბრძოლა. მე ძალიან მახარებს ოქტომბრის მონაპოვარი.

ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე საქართველოს რევოლუციონურმა მუზეუმმა.

მე ფრიად ნასიამოვნები გამოვედი იქიდან, რადგან ყველაფერს გავეცანი.

მოწაფე აკ. სხვაველიშვილი.

მოსახლის დღე

წერილი მეგობარს!

ძვირფასო მეგობარო მიშა! ამასწინათ ამხ. ვასომ მოამხადა და წაიკითხა მოხსენება: „როგორ მოვაწყოთ გამოფენა მოსახლის დღეს“. მოხსენების მოსასმენად მოვედით არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი მშობლები და შეუკავშირებელი მოწაფეებიც. კრება მოხდა ჩვენს სკოლაში, კვირას, დღის 12 საათზე. ეს იყო პირველი ჩვენი ასეთი დიდი კრება.

როგორ ვემზადებოდით ჩვენ ამ კრებისათვის! ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ თვითთულმა პიონერმა აცნობა ამის შესახებ თავიანთ მშობლებს და შეუკავშირებელ ბავშვებს. მოხსენებისათვის ჩვენ შეერთებული ძალით მოვამზადეთ დიაგრამები და ნახაზები, მოვაგროვეთ ბოსტნებიდან სხვადასხვა მცენარეულობა, წესრიგში მოვიყვანეთ ჩვენი სამეურნეო დღიურები და, აი, დადგა ჩვენი საზოგადოებრივი გამოცდის დღე.

— აბა, ვასო, შენ იცი, როგორ მოხსენებას გააკეთებ,—ვეუბნებოდით ჩვენ ამხ. მომხსენებელს.

20 აგვისტოს, დილის სწორედ თერთმეტ საათზე, ჩვენ ყველანი ადგილზე ვიყავით, გამოვკიდეთ დიაგრამები: „ჩვენი სოფლის მეურნეობა“, „როგორ მუშაობდა პიონერ-კოლექტივი სასოფლო-მეურნეობაში“ და სხვა. გავალაგეთ მაგიდებზე კიტრები, პამიდორები, ქარხალი, სხვადასხვა მწვანელი და სხვ. 12 საათისათვის ხალხმაც მოიყარა თავი. მრავალი ბავში მოვიდა არა მარტო ჩვენი სოფლიდან, არამედ სხვა მახლობელი სოფლებიდანაც. მოვიდნენ ქალები—დედები ჩვენი პიონერების და რამოდენიმე დელეგატი-ქალი. მოვადნენ აგრეთვე მამებიც და მოხუცებულებიც.

კრების თავმჯდომარედ აირჩიეს პიონერი კოტე, რომელმაც შესავალი სიტყვა სთქვა დღევანდელი კრების დიდი მნიშვნელობის შესახებ. შემდეგ ვასომ დაიწყო საუბარი, თუ როგორ დაიწყო მუშაობა სასოფლო-მეურნეობაში ჩვენმა პიონერ-კოლექტივმა, რა დაბრკოლებები ჰქონდა მას ამ მუშაობაში და, დაბოლოს, რა გააკეთა, როგორ მოიყვანა ისეთი კარგი ნაწარმოები, რომ ყველას უნდა უჩვენოს სოფელში, როგორც ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩვენი ბოსტნების გაუმჯობესება. შემდეგ ვასომ უამბო, თუ რა ნახა კოლექტივმა ექსპურსიებზე გლეხებში, როგორი საინტერესო და კარგი ბოსტნები აქვთ ზოგიერთ გლეხებს და როგორ დიდ მოსავალს ღებულობენ ისინი. თავისი მოხსენების დასასრულს ვასომ მოუწოდა დამსწრეებს, რომ არ დასტოვონ უყურადღებოდ ასე-

თი ნამუშევრები და მიხწევები, რომ ყველამ უნდა მოაწყოს გამოფენა, რომლის საშვალეობითაც ყველა მსურველს გავაცნობთ ჩვენს მებოსტნეობას.

დამსწრეები დიდი კმაყოფილებით შეხედდნენ მომხსენებლის აზრებს. გამოვიდა რამოდენიმე გლეხი და გლეხქალი, რომლებიც იმ აზრისა იყვნენ, რომ გამოფენა მართლაც საჭიროა.

შემოტანილ იქნა წინადადება: აჰ საქმის მოსაგვარებლად, გამოფენის ადგილის და დროს მოსაწესრიგებლად არჩეულ იქნას რამოდენიმე პირი. ადგილობრივი სათემო აგრონომი, რომელიც, რასაკვირველია, ჩვენ წინასწარ მოვიწვიეთ, დაგვირბა და დავგზავნა, რომ შემდეგი დღიდან დაგვეწყოს მზადება გამოფენისათვის. ჩვენი კოლექტივისაგან რამოდენიმე მოზრდილი პიონერი აირჩიეს გამოფენის ორგანიზატორთა შორის. კრება დაიხურა სწორედ 3 საათზე. ყველანი დიდად კმაყოფილნი დაიშალნენ...

და, აი, დადგა სასურველი დღე. ხვალ, 1 ოქტომბერს, მოსავლის და ჩვენი გამოფენის დღეა.

შენობა გამოფენისათვის, ადგილობრივი ქონსამკითხველო, უკვე მორთულია დროშებით და პლაკატებით. პლაკატებზე დაწერილია ლოზუნგები, შენობის შესასვლელ კარებზე კი დიდი ასოებით დაწერილია: „გამოფენა“. შენობის შიგნით ყველაფერი დალაგებული და მორთულია. ამიტომ გამოფენა მეტად შნოიანად გამოიყურება. მოვრთეთ ის ჩვენ მწვანით და უმთავრესად პურის თავთავებით და ღეროებით, რაც შენობას რაღაც მხიარულ და საზეიმო იერს აძლევს.

მთელი შენობა ჩვენ გავყავით სამ განყოფილებად. ერთ განყოფილებაში მოთავსებულია გლეხთა მეურნეობის ნიმუშები, მეორეში—დაწესებულებათა მეურნეობა და მესამეში—პიონერ-კოლექტივის მეურნეობა. შესავალში მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო წიგნების და იარაღების გამოფენა; აქ არის ბარები, თოხები, სახნისები, კავები და სხვ. წიგნების, ხელსაწყოების და მასალების გამოფენა მოაწყო ჩვენმა საკრედიტო კოოპერაციამ. გამოფენაზე უმთავრესი ყურადღება მებოსტნეობას აქვს მიქცეული.

კედლებზე გამოფენილია სასოფლო სამეურნეო პლაკატები და ლოზუნგები, რომლებიც დახატეს ჩვენმა პიონერებმა.

ძლიერ კარგადაა გამოფენილი გლეხთა მეურნეობა: თვითთულ გამოფენის აღნიშნული აქვს გვარი და სახელი, როგორ ამუშავებდა და რა მოსავა-



ლი მიიღო. მრავალმა გლეხმა გამოაფინა თავისი მეურნეობის გეგმა და ღიაგარამა სხვადასხვა პროდუქტების მოსავლიანობის შესახებ წლის განმავლობაში.

მეორე განყოფილებაში გამოფენილია კოოპერატივის საცდელი ბალ-ბოსტნის ნაწარმოებნი. აქ არის მოსავლის მრავალი საინტერესო ცხრილი და ისიც, თუ როგორ უნდა დავამუშაოთ მიწა, რომ კარგი მოსავალი მოგვცეს.

მესამე განყოფილებაში მონაწილეობას იღებს პიონერ კოლექტივი. ჩვენ გვაქვს კოლექტიური ბოსტანი, 20 კვადრი სხვადასხვა მცენარეულობით: კიტრი, კომბოსტო, პამიდორი, სტაფილო და სხვ.

ჩვენს განყოფილებაში არის მრავალი ღიაგარამა როგორც მცენარეულობათა, აგრეთვე კოლექტივის მუშაობის შესახებ; გამოფენილია დღიურები, სურათები, მრავალი ყვავილი, რომლებიც მოიყვანეს პიონერებმა ქოხ-სამკითხველოს ეზოში და თავიანთ ბაღებში. თავისი ნაწარმოების სიმრავლით და სიფართოვით ჩვენს კოლექტივს შენობის ნახევარი ადგილი უჭირავს.

გამოფენაზე ჩვენ, პიონერები, შემდეგ სამუშაოს ვატარებთ: 1) გამოფენის მოწყობა და მორთვა,

2) ვწერთ ბარათებს გლეხთა ზოგიერთი ნაწარმოებისათვის, 3) თვალყურს ვადევნებთ და ვწერთ გამოფენაზე შემოსულ საგნებს, 5) ვანგარიშობთ გამოფენის მნახველებს და სხვ.

ყველაზე მთავარი ჩვენი ვალდებულებაა: განვუმარტოთ გამოფენის მნახველებს ყველაფერი. რომ ეს შეგვძლებოდა, ამისათვის გამოფენის წინ აგრონომმა აგვიხსნა, თუ რას უნდა მივავსოთ მნახველთა ყურადღება.

გამოფენის დღეს ჩვენ მთელ დღეს გამოფენაზე ვიქნებით, ხოლო საღამოთი კი მოვაწყობთ საზეიმო კრებას სკოლაში.

გამოფენა გაგრძელდება სამ დღეს და 3 ოქტომბერს, სწორედ 4 საათზე, მას დავხურავთ. დროის ასეთი სისწორე საჭიროა იმისათვის, რომ იმავე დღეს მოვასწოროთ გამოფენის ნივთების და ნაწარმოებების სათანადო ადგილზე წაღება.

ამრიგად, ხეალ გაიხსნება გამოფენა. დღეს ჩვენ დავიშალეთ კმაყოფილნიც და აღელვებულნიც. მოველით ხვალინდელ დღეს.

ახლა ნახვამდის. მალე მოგწერ, თუ როგორ ჩაიარა ჩვენმა გამოფენამ.

შენი მეგობარი ნორჩი ლენინელი შალვა.

ხალი შეპუწუქოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას.

(დავალება კოლექტივებს.)

ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენს კავშირის კაპიტალისტები ემუქრებიან სისხლისმღვრელი ომით. წითელი არმია ყოველთვის იყო საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე და ამ ახალ ომშიაც, რასაც გვახვევენ ჩვენ კაპიტალისტები.

მოსახლეობამ ნათლად უნდა წარმოიდგინოს, რომ ს. ს. რ. კ. არ სურს ომი; ს. ს. რ. კ. აქვს დიდი ძალა და შეუძლია გაამტვეროს თავისი მტრები, თუ ჩვენ კარგად ვიქნებით მომზადებული ჩვენი მტრის დამარცხებისათვის. პიონერებს შეუძლიათ ძალიან მიეშველონ პარტიას და კომკავშირს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაში. აი ამიტომ წამოყენებულია შემდეგი ამოცანები:

1. ომის შესაძლებლობის ახსნა-განმარტება მშრომელებისა და შეუკავშირებელი ბავშვებისათვის.

2. პიონერების გაცნობა ზოგიერთ სამხედრო-ტექნიკურ საკითხთან.

(პირველი დახმარება, გაცნობა ტოპოგრაფიისთან, სროლის სპორტი, ქიმიური თვითდაცვის საშუალებანი და სხვა.)

3. წითელ არმიასთან დაახლოება შემოდგომა-ზამთრის თვეებში. როგორ მოხერხდეს ეს? რაზმის საბჭო არჩევს მას და რგოლებს ავალებს.

უფროს რგოლს: მოილაპარაკონ რგოლში, თუ როგორ იქნას ჩატარებული მუშაობა ომის შესაძლებლობის შესახებ სახლში (როგორი წიგნები და გაზეთები უნდა იკითხებოდეს). გარჩეულ იქნეს რგოლში ნ. პ. ც. ბ. მოწოდება ს. ს. რ. კ. პიონერებისადმი და მაშინვე შეუდგენ მუშაობას.

საშუალო რგოლს: გაირჩეს, თუ როგორ ჩავატარებთ ჩვენ ახსნა-განმარტებით მუშაობას ომის შესახებ შეუკავშირებელ ბავშვებს შორის (საუბარი, გაზეთის კითხვა, სადაც იკრიბება ბავშობა). მოეწყოს ისე, რომ მშობლებმა სახლში წაიკითხონ გაზეთი: „კომუნისტი“, „მუშა“, „ახალი სოფელი“, „ახ. კომუნისტი“.

უმცროს რგოლს: რგოლის გასეირნება წითელარმიელის ანდა კომკავშირელის საუბრით „სამოქალაქო ომის ეპიზოდებიდან“. გაცნობა ვოროშილოვის (სურათი) ბიოგრაფიისა. შესწავლილ იქნეს „ბუდიონელთა მარში“.

რგოლებზე არჩევენ საკითხს რგოლების კოლექტიურ შესვლაზე წვერებად „თავდაცვა-ავიაციში“. ყოველი რგოლი აძლევს ამოცანას პიონერებს: შესძლონ, რომ მშობლებმა გამოიწერონ გაზეთები.

კოლექტივის შეკრებაზე პარტიული ანდა ხელმძღვანელი ატარებს მოკლე საუბარს (რატომაა ომის საშიშროება); სასურველია ბაასის ჩატარება გაზეთებიდან ამოღებული კარიკატურებით.



გარდა ამისა, საბჭოს შეუძლია მეორე კვირას მის-
ცეს უფროს რგოლს შემდეგი დავალება: „თავდაცვა-ავია-
ქიმის“ უჯრედის საშუალებით მოელაპარაკოს წითელარ-
მიელს და მოიწვიოს ის სწავლაზე პიონერების თოფთან
პრაქტიკულად გასაცნობად. შეიძლება იარო უახლოეს სა-
სროლ ტირში.

საშუალო რგოლს: იშოვოს გაზის საწინააღმდეგო
თავსაბურები, გაეცნოს მის მოწყობილობას და მის მო-
ხმარებას. დაისვას საკითხი პირველი დახმარების წრის
მოწყობის შესახებ.

უმცროს რგოლს: როგორ უნდა შეილდ-ისრის სრო-
ლა? წაკითხულ იქნეს ამაზე ჟურნალში, გაზეთში. ჩატა-
რებულ იქნეს თამაშობანი, მაგ. „წითლები და თეთრე-
ბი“ და სხვ. შეკრებილი კოლექტივი იყოფა (ცის ქვეშ)
ორ ჯგუფად და იწყება თამაში.

შენიშვნა: ეს შეკრება შეიძლება მოეწყოს სხვა პიო-
ნერ-კოლექტივებთან ერთად.

ამის შემდეგ კოლექტივის საბჭო არკვევს პრაქტი-
კულ ღონისძიებებს პიონერ-ორგანიზაციაში სისტემატიუ-
რი სამხედრო პროპაგანდის ჩატარებაზე.

ასეთებად შეიძლება იყოს:

1. კოლექტივთან და პიონერ-კლუბთან პირველი და-
ხმარების წრის ჩამოყალიბება (ქალიშვილების).
2. კოლექტივთან ან კლუბთან სასროლი წრის (ვა-
ყებისათვის და ქალებისათვის) მოწყობა, სადაც ეცნობიან
ტოპოგრაფიას და სროლას.
3. გამოწერა გაზეთი „წითელარმიელის“.
4. სამხედრო პროპაგანდის საღამოების მოწყობა პა-
ტარა მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობაზე და პი-
ონერების ამოცანებზე; მოგონებანი სამოქალაქო ომის მო-
ნაწილეთა (ძველი პარტიულების და კომკავშირელების). ამ
საღამოებზე უნდა მოვიწვიოთ ყველას მშობლები.
5. მასიურ სამხედრო თამაშობებში მონაწილეობა.
6. წითელი არმიის წარმომადგენლების მოწვევა სრო-
ლის, „მარშიროვკის“ შესასწავლად, ვინტოვკასთან და სხვ.
გასაცნობად.
7. მასიური სიარული წითელი არმიის ყაზარმებში
(როგორც ცხოვრობენ წითელარმიელები, როგორც საზოგა-
დოებრივ სამუშაოს აწარმოებენ, როგორც სწავლობენ), ექს-
კურსიები ქიმიურ კუთხეებში და სხვ.

8. პატარა ლაშქრობების მოწყობა ახლომანლო ად-
გილებში (სოფლებში). ყველა ღონისძიება სამხედრო
პროპაგანდისა პიონერ-კოლექტივებში შეთანხმებული უნ-
და იქნეს „თავდაცვა-ავიაქიმის“ ა. ლ. კ. კ. უჯრედებ-
თან.

მუშაობის აღრიცხვა: დღიურში იწერება, რა და რო-
გორ იქნა ჩატარებული რგოლის საქმიანობაში, კოლექ-
ტივის შეკრებაზე, როგორ ჩატარდა თამაშობა, ექსკურსია,
გასეირნება და სხვ. რგოლების ხელმძღვანელები იძლევიან
შენიშვნებს კედლის გაზეთებში: „როგორ ჩავატარეთ ამო-
ცანა“. ბავშვობები სწერენ ამ მუშაობის შესახებ „პიონერ-
ში“ და გაზეთებში.

ა. ლ. კ. კ. უჯრედის მითითება: 1) უჯრედის ბიუ-
რო გამოჰყოფს ამხანაგს, რომელიც უნდა მოელაპარაკოს
ორგანიზაციებს, რომელთანაც მოგვიხდება დაკავშირება
მუშაობის დროს ამ ამოცანის შესასრულებლად (წითელი
არმია, „თავდაცვა-ავიაქიმი“ და სხვ.)

2. შესრულების წინ გაირკვეს ამოცანა უჯრედის ბი-
უროზე, პიონერ-კომისიაზე, შეიტანონ თავიანთი დამა-
ტებანი.

3. ამოცანის შესრულების შემდეგ მაშინვე მოსმე-
ნილ იქნას ინფორმაცია დავალების ჩატარებაზე, შედეგებზე.

4. უჯრედის ბიურომ დასახოს კომკავშირის უჯრე-
დების გასამხედროების ის ფორმები, რომელშიც შეიძლე-
ბა პიონერების ჩათრევა.

**რას იწყავლიან პიონერები ამ ამოცანის შე-
სრულების დროს.**

1. შეისწავლიან ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარ-
მოებას ნშობლებს შორის.
2. შეუკავშირებელი ბავშვების ყურადღებას მიაპყ-
რობენ ამ მნიშვნელოვან საკითხს.
3. მიიღებენ აუკილებელ სამხედრო ტექნიკურ ცოდ-
ნას.
4. მიეჩვენებიან გაზეთების ყურადღებით კითხვას და
მიიღებენ მთელ რიგ ახალ გამოცდილებებს.
ომის საშიშროების დროს, პიონერებო, იყავით მზად!
გულწრფელად შეეყვაროთ და მთელი ჩვენი ყუ-
რადღება მივაპყროთ წითელ არმიას და ფლოტს!



პიონერებო! დაუახლოვდით წითელ არმიას.



თავისუფალი



აგიტატორები.

ამაზრე კოოპერაცია.

მოთამაშეთა რიცხვი: 20-დან 60-მდე.

სათამაშო ადგილი: მოედანი, დარბაზი, რომელსაც ექნება დაახლოებით 28—30 მეტრის სიგრძე.

მოთამაშეთა განაწილება: მოედანზე დაინიშნება ხაზით—ერთ თავში ფაბრიკა, ხოლო მეორე თავში—მუშების პოლიტიკური ორგანიზაცია.

მოედნის გვერდით ფაბრიკასთან დაახლოებით დაინიშნება ადგილი საპრობლემათვის, რომელშიც ამწყვდევენ უცხოელ სახელმწიფოთა მთავრობები რევოლუციონერებს. მოთამაშეთა რიცხვიდან ირჩევენ 7 კაცს. ერთი მათგანი არის მეფაბრიკე, ორი—პოლიციელი და ოთხი აგიტატორი; დანარჩენები წარმოადგენენ მუშებს, რომლებიც მეფაბრიკესთან მუშაობენ.

მეფაბრიკე პოლიციელებთან ერთად ჩერდება ფაბრიკის ხაზზე, შუაში, ხოლო მის ორივე მხარეს—მუშები. აგიტატორები ჩერდებიან თავისი ორგანიზაციის ადგილზე.

თამაშის აღწერა: ხელმძღვანელის მიერ ნიშანის მიცემის შემდეგ აგიტატორები გაეშურებიან ფაბრიკისკენ პოლიტ-აგიტაციის საწარმოებლად. ფაბრიკასთან მიახლოების შემდეგ ერთი მათგანი მიმართავს მეფაბრიკეს, ხოლო სხვა აგიტატორები დადიან მუშების წინ და ხელზე დარტყმით ნიშნავენ მომავალ აგიტატორებს.

აგიტატორი მიმართავს მეფაბრიკეს და ეკითხება მას: „გსურთ თუ არა თქვენ მუშები?“

ის უპასუხებს: „დიახ, მე მუშები მჭირდება, მაგრამ გაფიცვას ხომ არ აპირებენ?“ როდესაც მეფაბრიკე ამ სიტყვებს იტყვის, აგიტატორები მიზიან თავიანთ ორგანიზაციაში და მათ თან მისდევენ ის მუშები, რომელთაც აგიტატორებმა ხელზე ხელი დაარტყეს.

მეფაბრიკე და პოლიციელები მისდევენ მათ უკან და ცდილობენ დადალონ ისინი; ომელიც დაიდალება—საპრობლემაში მიდის.

ახლა ციხეში არიან ტუსალები. აგიტატორები ხელმეორედ მიდიან ფაბრიკაში. გამოქცევის დროს მათ შეძლება ეძლევათ გაათავისუფლონ ტუსალები იმ მუშების ხელზე ხელის დარტყმით, რომელთაც ხელი ექნებათ გამოწვდილი. ის ტუსალი, რომელსაც ხელზე დაარტყამენ გარბის ციხიდან აგიტატორთან ერთად. თუ მუშებმა მოახერხეს აგიტატორებთან ერთად გაქცევა დაუდალავად—ისინი ემატებიან აგიტატორების რიცხს და შემდეგ მათთან ერთად მიდიან ფაბრიკაში, როგორც აგიტატორები.

დადალული აგიტატორი ციხეში ვარდება. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ აგიტატორები არ გადმოიყვანენ თავის მხარეზე ყველა მუშას და არ გაათავისუფლებენ ტუსალებს.

მოთამაშეთა რიცხვი: 20-დან 40-მდე.

სათამაშო ადგილი: მოედანი, დარბაზი, ქვით მოუფენელი ეზო და სხვა. სიგრძით 30-40 მეტრი.

მოთამაშეთა განაწილება: მოედნის თავებში დაინიშნება ხაზით ორი ადგილი: ერთ თავში—კოოპერაციები—სა, მეორეში—კერძო მოვაჭრეებისა და გლეხური მოსახლეობისათვის, რომელიც კერძო ვაჭრობით სარგებლობს.

მოედნის შუა ადგილას გაიჭიმება თოკი ჯოხებზე—50-60 სანტიმეტრის დაშორებით მიწიდან.

აირჩევენ 3-5 მოთამაშეს, რომელნიც წარმოადგენენ კოოპერატორებს; ისინი იკეთებენ ხელზე ვითელ ნიშნებს. გარდა ამისა ირჩევენ კიდევ 3-5 მოთამაშეს, რომელნიც წარმოადგენენ კერძო მოვაჭრეებს; ესენი იკეთებენ ხელზე თეთრ ნიშნებს. დანარჩენნი წარმოადგენენ კერძო მოვაჭრეებს, რომელნიც არიან კერძო ვაჭრობის ქსელში გაბმული; ამისდა მიხედვით, კერძო მოვაჭრეები ჩერდებიან გლეხებთან ერთად.

თამაშის აღწერა: კოოპერატორები მიდიან კერძო მოვაჭრეების ტერიტორიაზე კოოპერაციის სასარგებლოდ აგიტაციის საწარმოებლად. კერძო მოვაჭრეები თვალყურს ადევნებენ მათ. კოოპერატორები ჯერ დასეირნობენ გლეხებ შორის, ხოლო შემდეგ რომელიმე მათგანს ართმევენ ხელს, რის შემდეგ ის, რომელმაც ხელი ჩამოართვა, მირბის თავის მხარესკენ იმასთან ერთად, ვისაც მან ხელი ჩამოართვა. გაქცევის დროს ისინი უნდა გადაახტენ შუაში გაჭიმულ ბაწარს.

კერძო მოვაჭრე მისდევს კოოპერატორს და გლესს და ცდილობს რომელიმე მათგანს დადალოს. თუ ეს მან შესძლო, უკან ბრუნდება მხოლოდ და მხოლოდ გლეხი, ე. ი. დადალული კოოპერატორი არ ვარდება კერძო მოვაჭრის ხელში, მაგრამ ჰკარგავს შეძენილ გლესს. თუ გაქცეულებმა მოახერხეს დაუდალავად გაქცევა, იმ შემთხვევაში გაქცეული გლეხი იქცევა კოოპერატორად და სხვა კოოპერატორთან ერთად აწარმოებს გლეხების დაპყრობას; თამაში დროით განისაზღვრება: თუ დანიშნული დროის განმავლობაში კოოპერატორებმა მოახერხეს გლეხთან სახევაო ნაწილის გადმოყვანა თავის მხარეზე—იგებს კოოპერაცია; თუ ვერა—ითვლება, რომ კოოპერაცია ცუდად მუშაობს.

- თამაშის წესები:**
1. არ შეიძლება კოოპერატორის დადალვა, სანამ ის ხელს არ ჩამოართმევს გლესს.
 2. კერძო მოვაჭრედან გაქცევის დროს კოოპერატორი და გლეხი უთუოდ ბაწარზე უნდა გადახტენ.
 3. კერძო მოვაჭრედან გაქცევა უნდა ხდებოდეს ხელი-ხელჩაკიდებული.
 4. როდესაც გლეხი და კოოპერატორი გადასცილებიან თავის ხაზს, მათი დადალვა არ შეიძლება.

გამოდის 1927 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო სასურათო

ქუჩნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ქუჩნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითუული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვაღდებულე-ბაა გამომიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1927 წლისათვის.

ქუჩნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.

ექვს თვეს — 3 მან.

სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალპე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელები (მესამე სართული). „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

ელსმენი — 23 — 16

რედაქტორი — სარკელაქიო კოლეჯია.